04/09/2026

MES 5 26 0001151400

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 21 აგვისტოს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85044791183
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში –საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);
ხათუნა ჩხარტიშვილი – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);
გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
ხათუნა ცერცვაძე – სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);
ანა არუშიძე – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ეკატერინე გიგაშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

გოჩა გოგიტიძე – სსიპ – სასწავლოს უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);
გოგიტა მშვენიერაძე – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი)

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ელისო ბარბაქაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მარიამ ჩოხელი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მარიამ სულთანიშვილი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:
ეკა ბუთხუზი
თორნიკე თუთარაშვილი
ზაირა ბერიძე
დემიდ ფასიეშვილი
ირმა მეგრელიძე
თამარ ჯანგულაშვილი
ვალერი ჯაჯანიძე
ნინო მაზმიშვილი
მიმოზა ღოლიჯაშვილი
ბესარიონ ორმოცაძე
თინათინი მეფარიშვილი
ზურაბ მესხიძე
ცოტნე ქორჩილავა
ალექსანდრე კეკენაძე
ქეთევან ბოტკოველი
ბექა ადუაშვილი
აკაკი სადუნიშვილი
ბექარ კილასონია
დიმიტრი ქარსელაძე

დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლა
დირექტორი – ირინა ხელისუფალი

სსიპ ზაზა ბირთველიშვილის სახელობის ქალაქ გორის #7 საჯარო სკოლა

დირექტორი – რუსუდან ლომიძე

სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა
დირექტორი – ლენა აბაშიძე
მაია ღარიშვილი
ნუნუ ბლიაძე
ნათია სირაძე

სსიპ ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის N3 საჯარო სკოლა
დირექტორის მ/შ – ვერა ბენიძე
პროფესიული ინტეგრირებული პროგრამის კოორდინატორი – ანა ჩიქოვანი

სსიპ ქალაქ სამტრედიის №12 საჯარო სკოლა
დირექტორი – ნინო ონიანი
პროფესიული განათლების კოორდინატორი – ვიქტორია ტრაპაიძე
ხარისხის მართვის მენეჯერი – სოფიკო მარჯანიძე

სსიპ მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის N2 საჯარო სკოლა
დირექტორი – ნატო გვარლიანი
კოორდინატორი – ნაზიბროლა გულბანი

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლა
დირექტორის მ/შ – ალექსანდრე გიორგობიანი
პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი – ნინო მხეცაძე

სსიპ გიორგი ჭყონდიდელის სახელობის ქალაქ ფოთის №7 საჯარო სკოლა
დირექტორი - ნინო მორგოშია
ნანა დონდოლაძე

ქალაქ რუსთავის №28 საჯარო სკოლა
დირექტორი – მაზანიშვილი ნათია

სსიპ ქალაქ წალკის N1 საჯარო სკოლა
დირექტორის მოადგილე – ნინო კვიციანი
პედაგოგი – ხათუნა გვიჩიანი
პედაგოგი – როლანდი მგელაძე

სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლა
დირექტორი – სპარტაკ გოგიტიძე

სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მერჯევის საჯარო სკოლა
დირექტორი – მაკა დეკანოიძე

სსიპ ქალაქ ოზურგეთის N1 საჯარო სკოლა
დირექტორის მ/შ – მაია თავართქილაძე
ხარისხის მართვის მენეჯერი – ხათუნა რუსიეშვილი

სსიპ – სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ილიაწმინდას საჯარო სკოლა
ნათია ცისკარაული

მანანა მჭედლიშვილი
ციცინო შალვაშვილი

სსიპ – შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის №3 საჯარო სკოლა
დირექტორი – ნინო ჩიხლაძე

სსიპ – ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლა
დირექტორი – თამარ აბრამიშვილი
საქმისმწარმოებელი – ნინო დათუნაშვილი

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის №1 საჯარო სკოლა
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი – ლიპარტელიანი ხორეშან
კოორდინატორი – ლიპარტელიანი ლარისა
სამუშაო ჯგუფის წევრი – ლიპარტელიანი ნინო

სსიპ – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლა
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი – პაატა ჩხეიძე
დირექტორის მოადგილე, რეესტრზე პასუხისმგებელი პირი – ლეილა ბეგიაშვილი
პროფესიული განათლების კოორდინატორი – ნანა ბეგიაშვილი
პროფესიული განათლების დარგის მასწავლებელი – გიორგი ყორღანაშვილი
ბუღალტერი (პროფესიული განათლების შესყიდვების სპეციალისტი) – მაკა პავლიაშვილი
პროფესიული განათლების მასწავლებელი – თამილა ცხოვრებაძე
საქმისმწარმოებელი – ლია მალალაშვილი

სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლა
დირექტორი - თამარ აბულაძე

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:05 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. სსიპ – ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ ზაზა ბირთველიშვილის სახელობის ქალაქ გორის №7 საჯარო სკოლის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

4. სსიპ – ქალაქ რუსთავის №28 საჯარო სკოლის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ – საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მერჯევის საჯარო სკოლის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ – მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის N2 საჯარო სკოლის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ გიორგი ჭყონდიდელის სახელობის ქალაქ ფოთის №7 საჯარო სკოლის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
9. სსიპ – ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ ქალაქ ოზურგეთის N1 საჯარო სკოლის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
11. სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
12. სსიპ – შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის №3 საჯარო სკოლის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
13. სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
14. სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ საკითხის განხილვა;
15. სსიპ – ქალაქ წალკის N1 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ საკითხის განხილვა;
16. სსიპ – ქალაქ სამტრედიის №12 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ საკითხის განხილვა;
17. სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის №1 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ საკითხის განხილვა;
18. სსიპ – სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ილიაწმინდას საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ საკითხის განხილვა;
19. სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

პირველი საკითხი: სსიპ – ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თინათინ მეფარიშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და მათ გააცნო 2026 წლის 15 ივნისს სსიპ – ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლაში (მისამართი: ქალაქი ხონი, რეზო შამათავას ქუჩა №16) განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის შედეგები. მან განმარტა, რომ საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების თაობაზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება სსიპ ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლაში საგანმანათლებლო პროგრამის – "Front-end დეველოპმენტი" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულებისა და ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის მიხედვით. აღნიშნულ პროცესს წინ უძღოდა დოკუმენტაციის დეტალური შესწავლა და დღის წესრიგის შემუშავება.
ინსტიტუციური ნაწილის (სტანდარტი 4: პერსონალისა და პროცესების მართვა) შეფასებისას ექსპერტმა აღნიშნა, რომ წინა ავტორიზაციისას გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად სკოლას განსაზღვრული ჰქონდა 18-თვიანი ვადა. დაწესებულებამ სრულად გადაამუშავა და განაახლა ორგანიზაციული სტრუქტურა და მარეგულირებელი დოკუმენტაცია. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სადაც მკაფიოდ გაიწერა პროფესიული განათლების კოორდინატორის, ხარისხის მართვის მენეჯერისა და შესყიდვების სპეციალისტის, რეესტრის მწარმოებლის ფუნქცია-მოვალეობები. ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით შეიქმნა ხარისხის მართვის მენეჯერის დამოუკიდებელი შტატი, რომელზეც დაინიშნა შესაბამისი კვალიფიკაციისა და გადამზადების მქონე პირი, რითაც აღმოიფხვრა ინტერესთა კონფლიქტი და უზრუნველყოფილი იქნა ხარისხის სისტემის ფუნქციონირება PDCA ციკლის შესაბამისად. გარდა ამისა, სკოლაში დანერგილია პერსონალის შერჩევის, მიღების, შეფასებისა და მოტივაციის გამჭვირვალე წესები, დასაქმებულთა პირად საქმეებში წარმოდგენილია კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხოლო დაწესებულების მართვა ეფუძნება კოლეგიალურობისა და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც დადასტურდა სამუშაო შეხვედრების ოქმებითა და ფოტომასალით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მე-4 სტანდარტის ყველა ინდიკატორი (4.1.1.1, 4.1.1.2, 4.1.1.3, 4.1.2.1, 4.1.2.2, 4.1.2.3, 4.1.2.4) შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია“.

პროგრამული ნაწილის (სტანდარტი 2: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-End დეველოპმენტი“) შეფასებისას ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლამ სრულად უზრუნველყო პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გამოყოფილია ე.წ. „C გარემო“ (ლაბორატორია), სადაც განთავსებულია 15 კომპიუტერი სტუდენტებისთვის და 1 მასწავლებლისთვის, მონიტორინგის სისტემა, უწყვეტი კვების წყარო, სმარტ-დაფა, შესაბამისი ინვენტარი და ავეჯი. სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროგრამის განსახორციელებლად გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები 13 პროფესიული განათლების მასწავლებელთან (7 ზოგადი მოდულების, 6 დარგობრივი მოდულების და 1 დარგობრივი ინგლისურის პედაგოგი). პედაგოგთა კვალიფიკაცია დადასტურებულია დოკუმენტურად და გასაუბრებების შედეგად, ხოლო დაწესებულება ხელს უწყობს მათ უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. პროგრამის ხელმძღვანელმა გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი გადამზადება, სრულად ფლობს პროგრამის სპეციფიკას და აქტიურად უწევს კონსულტირებას პერსონალს. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია ყველა სავალდებულო სახელმძღვანელო მატერიალური და ელექტრონული სახით, უზრუნველყოფილია გარემოს ადაპტირებადობა სსსმ პირთათვის, ხოლო საპროგნოზო ბიუჯეტით განსაზღვრული სტუდენტების მინიმალური ზღვრული რაოდენობა (11 სტუდენტი) სრულად ფარავს პროგრამის ხარჯებს. გარდა ამისა, ექსპერტები შეხვდნენ სტუდენტებს, რომლებმაც მაღალი კმაყოფილება გამოხატეს სასწავლო გარემოსა და პედაგოგთა კომპეტენციის მიმართ. შესაბამისად, მე-2 სტანდარტის ყველა ინდიკატორი (2.2.1.1, 2.2.1.2, 2.2.1.3, 2.2.1.4, 2.2.1.5, 2.2.1.6) შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ვიზიტის შედეგად ხარვეზები ან ახალი რეკომენდაციები არ გამოვლენილა, ხოლო დაწესებულებამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს მდივანმა, ნათა ბუთხუზმა, დასვა შეკითხვა შეფასების ინსტრუმენტების მომზადების, ვერიფიკაციისა და ვალიდაციის პროცესებთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი სკოლებისთვის წარმოადგენს სერიოზულ გამოწვევას და დაინტერესდა, რამდენად საფუძვლიანად გაეცნო დარგობრივი ექსპერტი წარმოდგენილ შეფასების ინსტრუმენტებსა და შეფასების სისტემას. ექსპერტმა თინათინ მეფარიშვილმა განმარტა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულება სკოლაში მნიშვნელოვნად გაძლიერდა, ხარისხის მენეჯერის შტატზე დაინიშნა გადამზადებული კადრი, ხოლო დარგის ექსპერტმა დეტალურად შეისწავლა წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები. გასაუბრებებით დადასტურდა, რომ პერსონალს ზუსტად აქვს გააზრებული შეფასებისა და ვერიფიკაციის პროცედურები და ინსტრუმენტები სრულად ვალიდურია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ ექსპერტს მიმართა შეკითხვით ორგანიზაციული ცვლილებების რეალურ დანერგვასთან დაკავშირებით და ითხოვა დაზუსტება, თუ რა ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებს დაეყრდნო ჯგუფი იმის დასადგენად, რომ სტრუქტურული ერთეულების განახლება და ახალი ფუნქციები პრაქტიკულად მუშაობს და არ ატარებს მხოლოდ ფორმალურ, დოკუმენტურ ხასიათს. ექსპერტმა, თინათინ მეფარიშვილმა, რომ სამართლებრივი აქტებისა და პირადი საქმეების გარდა, ძირითად მტკიცებულებას წარმოადგენდა ინდივიდუალური ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, ახალ თანამშრომლებთან და ხარისხის მენეჯერებთან, რომლებმაც დეტალურად და თანმიმდევრულად აღწერეს თავიანთი ყოველდღიური მოვალეობები და სამუშაო პროცესები, რითაც დადასტურდა ფუნქციების პრაქტიკული აღსრულება.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე დასვა შეკითხვა ადამიანური რესურსის მდგრადობისა და კადრების ჩანაცვლებადობის რისკების შესახებ. ექსპერტმა განმარტა, რომ დარგის ექსპერტმა სიღრმისეულად გააანალიზა პედაგოგთა დატვირთვა და პროგრამის გრძელვადიანი მდგრადობა. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტთან

(KIU) და ქუთაისის ტექნოლოგიურ ჰაბთან, რის საფუძველზეც ტარდება ერთობლივი ტრენინგები და არსებობს დარგობრივი კადრების მოზიდვისა და ჩანაცვლების მყარი გარანტია.
საბჭოს თავმჯდომარის დამატებით შეკითხვაზე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ქმედითობის მტკიცებულებებთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლამ ადგილზე წარმოადგინა უკვე ჩატარებული შიდა შეფასებების შედეგები, ანალიტიკური მასალები და გამოკითხვების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების დოკუმენტაცია, რითაც დადასტურდა ხარისხის ციკლის რეალური ფუნქციონირება.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლაში (ს/კ:244970778) ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2026 წლის 21 აგვისტო.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ცერცვაძემ, დატოვა სხდომა
სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი, ეკატერინე გიგაშვილი

მეორე საკითხი: სსიპ ზაზა ბირთველიშვილის სახელობის ქალაქ გორის №7 საჯარო სკოლის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა

დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მიმოზა ღოლიჯაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საბჭოს გააცნო 2026 წლის 15 ივნისს სსიპ – ზაზა ბირთველიშვილის სახელობის ქალაქ გორის №7 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის შედეგები. მან განმარტა, რომ პირველადი ავტორიზაციისას პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები“ მეორე სტანდარტთან მიმართებით შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ხოლო მეოთხე სტანდარტთან მიმართებით – როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი“. შესაბამისად, მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დეტალურად შემოწმდა 2.2 და 4.1 კომპონენტების ინდიკატორები, რის შედეგადაც ექსპერტთა ჯგუფმა ორივე კომპონენტი და მთლიანად სტანდარტები შეაფასა როგორც „სრულ შესაბამისობაში“.
პროგრამული ნაწილის (სტანდარტი 2: კომპონენტი 2.2) განხილვისას ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა ხორციელდება სრულად იმიტირებულ სასწავლო გარემოში. დაწესებულებამ გამოყო და სრულად აღჭურვა AB გარემო, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს C გარემოსაც (ლაბორატორია). სკოლამ შეიძინა და განათავსა ყველა საჭირო ინვენტარი და ტექნიკა: მასწავლებლისა და მოსწავლეთა სამუშაო მაგიდები, სმარტ-დაფა, 17 ორთოპედიული სავარძელი, კარადა, ქიმიის პორტაბელური ლაბორატორია, 16 პერსონალური კომპიუტერი, A4 ფორმატის პრინტერი, 17 უწყვეტი კვების წყარო (UPS), მრავალფუნქციური კარტრიჯი, დინამიკი და სხვა საჭირო რესურსი. პროგრამას ახორციელებს 20 მაღალკვალიფიციური პედაგოგი (3 პროფესიული მოდულის, 3 ზოგადი მოდულის და 11 ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებელი), რომელთა დატვირთვა სრულად შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსს და არ აღემატება კვირაში 40 საათს. მასწავლებელთა უმრავლესობას აქვს მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილება და გავლილი აქვთ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგები სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიასა და ინტეგრირებული მოდულების სწავლებაში. პროგრამის ხელმძღვანელად იდენტიფიცირებულია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც აქტიურად მონაწილეობს პროგრამის მართვასა და განხორციელებაში. სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია სამკითხველო სივრცით, კომპიუტერული ტექნიკითა და პრინტერით, სრულად უზრუნველყოფს მასალების ბეჭდვასა და სკანირებას. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, რომელიც დეტალურად აწესრიგებს სსსმ სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და მხარდაჭერის მექანიზმებს. ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტობას, ხოლო შემოსავლის ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. შესაბამისად, 2.2.1.1, 2.2.1.2, 2.2.1.3, 2.2.1.4, 2.2.1.5, 2.2.1.6 და 2.2.1.7 ინდიკატორები შეფასდა სრულ შესაბამისობაში.
ინსტიტუციური ნაწილის (სტანდარტი 4: კომპონენტი 4.1) შეფასებისას ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლამ წარმატებით დაასრულა სტრუქტურული რეორგანიზაცია და წარმოადგინა განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურის სქემა. სტრუქტურაში მკაფიოდ გაიმიჯნა ფუნქციები კოლეგიალურ ორგანოებსა (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, კათედრები) და დირექციას შორის, ასევე ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლების მიმართულებებს შორის. დირექტორის მიერ დამტკიცებულ თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და სამუშაო აღწერილობებში დეტალურად გაიწერა ხარისხის უზრუნველყოფის პასუხისმგებელი პირის, სასწავლო პროცესის მენეჯერის, საქმისწარმოებლის, შესყიდვების სპეციალისტისა და

რეესტრის მწარმოებლის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება ობიექტურობის პრინციპებს და გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. ადამიანური რესურსების მართვა რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობისა და შინაგანაწესის საფუძველზე, ხოლო ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე. პერსონალის შერჩევა განხორციელდა კონკურსისა და გასაუბრების გზით, სრულად იქნა გამოყენებული სკოლის შიდა კადრები, ხოლო დასაქმებულთა პირად საქმეებში მოწესრიგდა ყველა დოკუმენტაცია, მათ შორის წარმოდგენილია ნასამართლობის შესახებ ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენაზე. ასევე, დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა რეკომენდაცია და საქმისა და რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ბაკალავრის ხარისხის მკაცრი მოთხოვნა დააკორექტირა სამუშაოს სპეციფიკის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, 4.1.1.1, 4.1.1.2, 4.1.1.3, 4.1.2.1, 4.1.2.2, 4.1.2.3 და 4.1.2.4 ინდიკატორები შეფასდა სრულ შესაბამისობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზა, დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით და იკითხა, მოთხოვნილი 32 სტუდენტიანი ზღვრული ადგილი იყოფა თუ არა ცალ-ცალკე 16-16 სტუდენტად ნაკადების მიხედვით. ექსპერტმა განმარტა, რომ სასწავლო აუდიტორია გათვლილია 16 სტუდენტზე ერთ ცვლაში, ხოლო სწავლების ორცვლიანი გრაფიკი სრულად უზრუნველყოფს ჯამში 32 სტუდენტის მიღებას არსებული მატერიალური რესურსის სრული დაკმაყოფილებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ ექსპერტს მიმართა შეკითხვით, შემოიფარგლა თუ არა მონიტორინგი მხოლოდ წინა ვიზიტისას დაფიქსირებული ხარვეზების შემოწმებით, თუ ექსპერტებმა დამატებით შეაფასეს სხვა გარემოებებიც, რომლებსაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა ავტორიზაციის პირობების შესრულებაზე. ექსპერტმა მიმოზა ღოლიჯაშვილმა განმარტა, რომ მონიტორინგის პროცესში მთავარი აქცენტი გაკეთდა იმ კომპონენტებზე, სადაც წინა ეტაპზე იყო ნაწილობრივი და მეტწილად შესაბამისობა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გადაამოწმა ყველა მომიჯნავე ინდიკატორი. ექსპერტებმა ჩაატარეს სიღრმისეული გასაუბრებები ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან და სტუდენტებთან, რამაც დაადასტურა პროგრამის წარმატებული მიმდინარეობა, სასკოლო საზოგადოების მაღალი ჩართულობა და გაზრდილი მოთხოვნა რეგიონში აღნიშნულ პროფესიულ პროგრამაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე დასვა კითხვა სამომავლო რისკებთან დაკავშირებით, კერძოდ, დარჩა თუ არა რაიმე ფაქტორი, რამაც შესაძლოა მომავალში საფრთხე შეუქმნას 2.2 ან 4.1 კომპონენტების შესრულებას. ექსპერტმა განმარტა, რომ მატერიალური და ადამიანური რესურსი სრულადაა მობილიზებული, სკოლას ჰყავს ძლიერი ხელმძღვანელობა და მოტივირებული პედაგოგიური კოლექტივი, სტრუქტურა გამართულია და ფუნქციები მკაფიოდ განაწილებული, რაც გამორიცხავს სისტემურ რისკებს.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა ორი კონკრეტული საკითხი: პირველი – რატომ არ მიიჩნია ექსპერტთა ჯგუფმა დარღვევად ის გარემოება, რომ მასწავლებლისთვის განკუთვნილი კომპიუტერი არ იყო შეძენილი და გამოყენებული იქნა სკოლის ბალანსზე არსებული ტექნიკა; მეორე – ქმნიდა თუ არა რისკს ის ფაქტი, რომ ორ პედაგოგს ფიზიკურად არ ჰქონდა გავლილი ტრენინგები. ექსპერტმა განმარტა, რომ მასწავლებლისთვის გამოყოფილი კომპიუტერი წარმოადგენდა სკოლის დამატებით, გამართულ რესურსს, რომელიც სრულად აკმაყოფილებს სასწავლო მიზნებს და ზოგადსაგანმანათლებლო პროცესს ტექნიკა არ დაკლებია. რაც შეეხება ორ პედაგოგს, ისინი ტრენინგების პერიოდში არ იმყოფებოდნენ საქართველოში, თუმცა სკოლაში არსებული მაღალი თანამშრომლობითი კულტურისა და გამოცდილების გაზიარების წყალობით, კოლეგებმა მათ სრულად გადასცეს მიღებული ცოდნა და მასალები. გარდა ამისა, სკოლას სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს აღნიშნული პედაგოგების დამატებით გადამზადებაზე წარგზავნა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ზაზა ბირთველიშვილის სახელობის ქალაქ გორის №7 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ზაზა ბირთველიშვილის სახელობის ქალაქ გორის №7 საჯარო სკოლაში (ს/კ:218018847) ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2026 წლის 21 აგვისტო.

მესამე საკითხი: სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
დარგის ექსპერტი, ალექსანდრე კეკენაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და აღნიშნა, რომ მომხსენებელმა საბჭოს წევრებს გააცნო 2026 წლის 15 ივნისს სსიპ – ბორჯომის

მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის შედეგები. შემოწმება შეეხო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „Front-End დეველოპმენტი“ (IV დონე, 30-სტუდენტიანი კვოტა, იმიტირებული სასწავლო გარემო). მონიტორინგის ფარგლებში შეფასდა ორი ძირითადი სტანდარტი: სტანდარტი 4 – ადამიანური რესურსი (კომპონენტი 4.1: პერსონალისა და პროცესების მართვა) და სტანდარტი 2 – საგანმანათლებლო პროგრამა (კომპონენტი 2.2: პროგრამის განხორციელების რესურსები). ორივე კომპონენტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა სრულ შესაბამისობაში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებშიც მკაფიოდ და გამიჯნულად არის გაწერილი პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული პოზიციების ფუნქცია-მოვალეობები და პასუხისმგებლობები. სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების გადანაწილება ხელს უწყობს ძირითადი საქმიანობის ეფექტიან განხორციელებას. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და დაწესებულებაში მოქმედებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის ქმედითი მექანიზმები.

პროგრამულ ნაწილში შემოწმდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და გარემო, სადაც პირველად ეტაპზე დაფიქსირებული იყო მატერიალური რესურსის სიმწირე. მონიტორინგის ვიზიტისას დადგინდა, რომ სკოლამ სრულად შეიძინა ახალი ტექნიკა და ინვენტარი მაღალი ტექნიკური პარამეტრებით: კომპიუტერები, ჭკვიანი დაფა, განსაკუთრებით კომფორტული და ერგონომიული სამუშაო სკამები და მაგიდები. ასევე გამართულია ბიბლიოთეკა და სამკითხველო სივრცე, სადაც განთავსებულია კომპიუტერული ტექნიკა და საჭირო ინვენტარი, ხოლო დარგობრივი სასწავლო რესურსები წარმოდგენილია ელექტრონული ფორმით და დანარჩენი მასალები სრულად მოიპოვება ადგილზე.

ადამიანური რესურსისა და პროგრამის ხელმძღვანელის კომპონენტებში ხარვეზები არ დაფიქსირებულა, თუმცა გაიცა ორი სარეკომენდაციო ხასიათის წინადადება შემდგომი განვითარებისთვის:

2.2.1.3 ინდიკატორი – დაწესებულებამ გააგრძელოს პროფესიული განათლების მასწავლებელთა მიზნობრივი გადამზადება და უზრუნველყოს მათი მუდმივი ინფორმირებულობა პროფესიული განათლების სფეროში არსებული სიახლეების შესახებ.

2.2.1.4. ინდიკატორი – დაწესებულებამ პროგრამის ხელმძღვანელის პროფესიული განვითარების მხარდაჭერა განაგრძოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების სპეციფიკისა და შეფასების მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ხარისხიანი განვითარებისა და განხორციელების პროცესის კიდევ უფრო გაძლიერებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა გოჩა გოგიტიძემ ექსპერტს მიმართა შეკითხვით პედაგოგთა განვითარებისა და მხარდაჭერის მიმართულებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით და დაინტერესდა, ხომ არ გამოიკვეთა რაიმე კონკრეტული პრობლემა შეფასებისა და ვერიფიკაციის პროცესში, ან მასწავლებელთა მხრიდან ხომ არ იყო გამოთქმული განსხვავებული ხედვები და წინადადებები. ექსპერტმა ალექსანდრე კეკენაძემ განმარტა, რომ შეფასების ინსტრუმენტები ექსპერტთა ჯგუფმა და სკოლამ ერთობლივად განიხილეს და ისინი სრულად შეესაბამება მოთხოვნებს. რეკომენდაციის მიზანი იყო არა ხარვეზის გამოსწორება, არამედ დარგში არსებული მუდმივი სიახლეების გათვალისწინებით პედაგოგთა უწყვეტი პროფესიული განვითარების სტიმულირება. თავად მასწავლებლებმა და სკოლის დირექტორმა გამოხატეს მაღალი მოტივაცია და მზადყოფნა, აქტიურად ჩაერთონ ნებისმიერ ახალ ტრენინგსა და გადამზადების კურსში როგორც დარგობრივი კომპეტენციების, ისე შეფასების მეთოდოლოგიის კუთხით.

პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, დამატებით განმარტა, რომ განათლების სამინისტროსა და მასწავლებელთა

პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფარგლებში უკვე შემუშავდა მოდულები და მიმდინარეობს მათი ვალიდაცია, რომლის ფარგლებშიც ყველა საჯარო სკოლის დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი პედაგოგი სრულად ჩაერთვება პროფესიული განვითარების ტრენინგებში, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოს მხრიდან სკოლების სისტემურ მხარდაჭერას. საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ დასვა შეკითხვა, რამდენად წარმოადგენს გამოვლენილი ცვლილებები სისტემურ, გრძელვადიან მექანიზმს და ხომ არ ატარებს დროებით ხასიათს მხოლოდ მონიტორინგის ვიზიტისთვის. ექსპერტმა უპასუხა, რომ სკოლაში არსებული მზაობა, დირექციის ენთუზიაზმი, სტრუქტურული მოწესრიგებულობა და სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ სკოლა სწორ გზაზე დგას. სტუდენტებთან გასაუბრებამ აჩვენა მათი განსაკუთრებული კმაყოფილება რეგიონში თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისების შესაძლებლობითა და სამომავლო კარიერული პერსპექტივებით. ექსპერტმა დაადასტურა, რომ ცვლილებები რეალურია, პრაქტიკაში დანერგილია და დაწესებულებას აქვს სრული რესურსი ავტორიზაციის პირობების ხანგრძლივად დასაცავად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლაში (ს/კ:226157379) ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2026 წლის 21 აგვისტო.

საბჭოს წევრი ეკატერინე გიგაშვილი შემოუერთდა სხდომას.

მეოთხე საკითხი: სსიპ – ქალაქ რუსთავის №28 საჯარო სკოლის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ეკა ბუთხუზი, მიესალმა დამსწრე პირებს და საბჭოს გააცნო სსიპ ქალაქ რუსთავის №28 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები. აღნიშნული მონიტორინგი ჩატარდა ცენტრის დირექტორის ბრძანებისა და შუამდგომლობის საფუძველზე. მონიტორინგის საგანს წარმოადგენდა მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ – განხორციელებისა და ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება. დაწესებულება წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას, რომელიც მდებარეობს ქალაქ რუსთავში, მე-19 მიკრორაიონში. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დეტალურად შეფასდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სასწავლო გარემო, ადამიანური რესურსები, მათი კვალიფიკაცია, სამუშაო დატვირთვა, ორგანიზაციული სტრუქტურა და ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილება.
სტუდენტური კონტინგენტის მონაცემების მიხედვით, აღნიშნულ პროგრამაზე საბჭოს მიერ განსაზღვრული ზღვრული ადგილების რაოდენობა შეადგენს 40-ს. მონიტორინგის მომენტში აქტიური პროფესიული სტუდენტის რაოდენობა იყო 18, ხოლო 2 სტუდენტს პირადი განცხადებისა და სურვილის საფუძველზე შეუწყდა სტატუსი და მოგვიანებით ისევ დაბრუნდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. ამასთანავე, პროგრამაზე ირიცხება 1 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი, რომელსაც შეფასების შედეგად არ ესაჭიროება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლება.
სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ექსპერტმა აღნიშნა, რომ მეოთხე სტანდარტის კომპონენტი 4.1 (პერსონალისა და პროცესების მართვა), რომელიც მანამდე შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შეესაბამება“, მონიტორინგის შედეგად სრულად შეიცვალა და შეფასდა როგორც „შეესაბამება“. დაწესებულებამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და სკოლის შინაგანაწესი, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი ორგანიზაციული მოწყობის საკითხები, დასაქმებულ პირთა სამუშაო აღწერილობები, ფუნქციები, უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები. სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების გამიჯვნა დადასტურდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით, პერსონალის შერჩევის დოკუმენტაციითა და გასაუბრების შედეგებით.
სკოლის ორგანიზაციულ სტრუქტურაში შედიან დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორი, ხარისხის მართვის კოორდინატორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საინფორმაციო მენეჯერი, დამლაგებელი, დარაჯი, ცეცხლფარეში, ექთანი და პროგრამის ხელმძღვანელი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ხარისხის მართვის კოორდინატორის ფუნქციებს, რომლის კომპეტენციაშიც შედის სასწავლო პროცესების მონიტორინგი, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება და შიდა ვერიფიკაციის პროცესის ხელმძღვანელობა. დადასტურდა, რომ ხარისხის მართვის კოორდინატორის ფუნქციები მკაფიოდ არის გამიჯნული სხვა თანამდებობებისგან, რაც სრულად გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და უზრუნველყოფს ობიექტურობას.

პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, ობიექტურობის, თანასწორობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.
პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიმართულებით დადგინდა სრული შესაბამისობა. დაწესებულებას გააჩნია 42 კომპიუტერი (40 განკუთვნილია პროფესიული სტუდენტებისთვის, 2 კი – ლაბორატორიისთვის, მასწავლებლებისთვის), 10 მაგიდა და სკამი 20 სტუდენტზე. სკოლაში სრულად არის მოწყობილი ერთი AB გარემო 20 სტუდენტზე გათვლილი ინვენტარითა და ტექნიკით, ასევე გამოყოფილია დამატებითი A გარემო, რომელიც სტუდენტთა მეორე ნაკადის მიღებისას აღიჭურვება AB გარემოდ. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეულია 12 მასწავლებელი, მათ შორის 8 ზოგადი მოდულების და 4 პროფესიული მოდულების პედაგოგი. პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით, გავლილი აქვთ პროფესიული უნარების სააგენტოს ტრენინგები და ჩართულნი არიან სამუშაო შეხვედრებში. სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი წიგნადი და ელექტრონული ფონდით, კომპიუტერული ტექნიკით, ლეპტოპით, საოფისე კომბაინითა და ღრუბლოვან სივრცეში ატვირთულ რესურსებზე წვდომის QR კოდებით. წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი ასევე ადასტურებს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.
საბჭოს წევრმა გოჩა გოგიტიძემ დასვა კითხვა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სასწავლო პროცესების თანაარსებობისა და მათი მართვის სპეციფიკის შესახებ. კერძოდ, მან იკითხა, ხომ არ იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი ან ფუნქციური აღრევა სკოლის ტოპ-მენეჯმენტის წინაშე ორმხრივი ანგარიშვალდებულებისას, რამდენად ეფექტურად ერწყმის ეს ორი პროცესი ერთმანეთს სკოლის სივრცეში და ხომ არ დაფიქსირდა რაიმე განსაკუთრებული სიახლე ან არაორდინალური მიდგომა. ექსპერტმა ეკა ბუთხუზიმ განმარტა, რომ სკოლაში პროცესები მკაფიოდ და გამართულად არის ორგანიზებული. ხარისხის მართვის კოორდინატორი და სასწავლო პროცესის მართვის კადრები უშუალოდ პროფესიული მიმართულებით მუშაობენ და არ ერევიან ზოგადსაგანმანათლებლო პროცესებში, რაც ინტერესთა კონფლიქტს გამორიცხავს. დირექტორთან თავმოყრილია სრული ინფორმაცია და იგი ეფექტურად უწევს კოორდინაციას ორივე მიმართულებას. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ რაიმე ტიპის აღრევა ან სისტემური პრობლემა არ გამოვლენილა, თუმცა განსაკუთრებული სიახლე ან ორიგინალური გადაწყვეტაც არ დაფიქსირებულა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ ექსპერტს მიმართა კითხვით, თუ რა მიაჩნია სკოლის მთავარ გამოწვევად/რისკად მომავალში და რა არის პროგრამის განხორციელების ყველაზე ძლიერი მხარე. ექსპერტმა ეკა ბუთხუზიმ განმარტა, რომ მთავარ რისკს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისთვის პროფესიული განათლების მიმართულება ჯერ კიდევ ახალი სფეროა (დაახლოებით წელიწად-ნახევრის გამოცდილებით), რის გამოც დაწესებულებას მუდმივად ესაჭიროება გარე მხარდაჭერა და მეთვალყურეობა მართვისა და პერსონალის განვითარების კუთხით. პროგრამის უმთავრეს ძლიერ მხარედ კი ექსპერტმა დაასახელა დაწესებულების გამართული მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსი, ადმინისტრაციის მაღალი მოტივაცია და გუნდური მუშაობის პრინციპი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
დისკუსიაში ჩაერთო სსიპ ქალაქ რუსთავის №28 საჯარო სკოლის დირექტორი ნათია მაზანიშვილი, რომელმაც ისაუბრა სკოლაში ხარისხზე ორიენტირებული ორგანიზაციული კულტურის ფორმირებაზე. დირექტორმა განმარტა, რომ 18 სტუდენტიდან 6 მოსწავლე, მათი აკადემიური მოსწრების, ჩართულობისა და უნარების შეფასების საფუძველზე, სექტემბრის ბოლოს ექსტერნის გამოცდების ჩაბარებით ბრუნდება ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში. სკოლის მიზანია ხარისხის მაღალი სტანდარტის შენარჩუნება და არა მხოლოდ რაოდენობრივი

მაჩვენებლები. მანვე დასძინა, რომ მომავალში მიღებისას გაძლიერდება შერჩევის კონტროლი, ჩაერთვება დარგის სპეციალისტი, რათა შემოწმდეს აპლიკანტთა საბაზისო უნარები და მოტივაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ – ქალაქ რუსთავის №28 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ – ქალაქ რუსთავის №28 საჯარო სკოლაში (ს/კ:216295453) ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2026 წლის 21 აგვისტო.

მეხუთე საკითხი: სსიპ – საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მერჯევის საჯარო სკოლის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ვალერი ჯაჯანიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საბჭოს გააცნო სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მერჯევის საჯარო სკოლაში 2026 წლის 18 ივნისს განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის შედეგები. შემოწმების მიზანს წარმოადგენდა მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „ადმინისტრაციული სერვისები“ – განხორციელებისა და ავტორიზაციის პირობების შესრულების შეფასება. წინა ადმინისტრაციული წარმოებისას მეორე სტანდარტის კომპონენტები (2.2.1.1, 2.2.1.2, 2.2.1.3) შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ხოლო მეოთხე სტანდარტის კომპონენტები (4.1.1.1, 4.1.1.2) – როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი“, ვინაიდან სკოლას არ გააჩნდა საკმარისი მატერიალური და ადამიანური რესურსი და საჭიროებდა ორგანიზაციული სტრუქტურის განახლებას.

მიმდინარე მონიტორინგის შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა ორივე სტანდარტი შეაფასა როგორც „სრულად შესაბამისი“. სკოლის მიერ შემუშავდა ახალი ორგანოგრამა, რომელიც სქემატურად განსაზღვრავს იერარქიასა და ფუნქცია-მოვალეობებს, რაც გამორიცხავს დუბლირებასა და ბუნდოვანებას. პროფესიული განათლების მიმართულებით ადმინისტრაციაში ჩართულია 4 თანამშრომელი: პროფესიული განათლების კოორდინატორი (რომელიც ამავდროულად დირექტორის მოადგილეა), ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, შესყიდვების სპეციალისტი და რეესტრის მართვის მენეჯერი. საერთო პოზიციებზე (საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, სპეციალური მასწავლებელი) გაფორმებულია დამატებითი შეთანხმებები. ხარისხის მენეჯერის ფუნქციები მკაფიოდ არის გამიჯნული, გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და მოიცავს სასწავლო პროცესისა და სისტემის მუდმივ მონიტორინგს, უკუკავშირის შეგროვებასა და ანალიზს. პერსონალის შერჩევა ხორციელდება გამჭვირვალედ და ობიექტურად, ღია კონკურსის წესით, ხოლო სკოლის შინაგანაწესი სრულად შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსს.

პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები“ (მე-4 დონე) ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 20-ით, ხოლო მონიტორინგის ეტაპზე ირიცხება 10 აქტიური სტუდენტი. კრედიტების რაოდენობა შეადგენს 92-ს (ინტეგრირებულ მოდულებთან ერთად) ან 60-ს (არაინტეგრირებულ შემთხვევაში). სკოლას 2026 წლის მაისში ბალანსზე აღერიცხა უახლესი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა 10 სტუდენტსა და მასწავლებელზე (პერსონალური კომპიუტერები, ჭკვიანი დაფა, დემონსტრირების ციფრული საშუალებები, პრინტერი და ავეჯი). ამასთანავე, სკოლამ საკუთარი კომპიუტერული ფონდით უზრუნველყო იმ მოდულების განხორციელება, რომლებიც საჭიროებდა მხოლოდ კომპიუტერულ ტექნიკას.

პროგრამის განსახორციელებლად შერჩეულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 20 პროფესიული მასწავლებელი (16 ზოგადი/ინტეგრირებული მოდულების და 4 პროფესიული მოდულების პედაგოგი). პედაგოგებს გავლილი აქვთ პროფესიული უნარების სააგენტოს ტრენინგები. მათი დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს (ინტეგრირებულ მოდულებზე კვირაში 3-4 საათი), ხოლო საკადრო რესურსი სრულად უზრუნველყოფს ჩანაცვლებადობასა და პროგრამის მდგრადობას. პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს დარგობრივ კომპეტენციას და აკმაყოფილებს ყველა საკვალიფიკაციო მოთხოვნას. სკოლის მიერ წარმოდგენილია ვაუჩერულ დაფინანსებაზე დაფუძნებული საოპერაციო ბიუჯეტი (რენტაბელობის ზღვარია 8 სტუდენტი). ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია წიგნადი და ელექტრონული ფონდით, სასწავლო სივრცე მოიცავს სრულად აღჭურვილ A, B და C გარემოებს, ასევე შექმნილია ინკლუზიური სასწავლო გარემო და არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ ექსპერტს დაუსვა კითხვა, რამდენად საკმარისია პროფესიული მიმართულებით გამოყოფილი 4 ადმინისტრაციული თანამშრომელი სტუდენტთა რაოდენობის ზრდის შემთხვევაში და რამდენად მდგრადია განხორციელებული ცვლილებები მომავალი შეუსაბამობების რისკის თავიდან ასაცილებლად. ექსპერტმა ვალერი

ჯაჯანიძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე ეტაპზე არსებული 10 სტუდენტისთვის (და ერთი დამატებითი ჯგუფისთვისაც) აღნიშნული ადმინისტრაციული რესურსი სავსებით საკმარისია, თუმცა კონტინგენტის მნიშვნელოვანი ზრდის ან ახალი პროგრამების დამატების შემთხვევაში საჭირო გახდება დამატებითი კადრების მოზიდვა, ვინაიდან ზოგიერთი პირი ზოგადსაგანმანათლებლო მიმართულებითაც არის დაკავებული. მდგრადობასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ რეგულაციებისა და პერსონალის დონეზე ცვლილებები მყარია, თუმცა რეგიონული და სოფლის სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადამიანური რესურსის (განმახორციელებლების) კუთხით გარკვეული გამოწვევები მუდმივად რჩება. ამ რისკის დაზღვევის ერთ-ერთ პერსპექტივად ექსპერტმა პროფესიული პროგრამის კურსდამთავრებულთა პედაგოგიურ საქმიანობაში შემდგომი დასაქმების შესაძლებლობა დაასახელა.
საბჭოს წევრმა ნათია ბუთხუზმა მიმართა სკოლის დირექტორს შეკითხვით, თუ როგორ ხედავს სკოლა პროფესიული განათლების განვითარების პერსპექტივას რეგიონში, იგეგმება თუ არა სხვა პროგრამების დამატება და ასაკობრივი ჯგუფი როგორ გამოიყურება.
სკოლის დირექტორმა, მაკა დეკანოიძემ განაცხადა, რომ პროფესიული პროგრამის დანერგვა სოფლის დონეზე უმნიშვნელოვანესი შესაძლებლობაა ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რომელთაც სხვაგვარად არ აქვთ პროფესიულ განათლებაზე წვდომა. დირექტორმა დაადასტურა, რომ პროგრამაზე მოთხოვნა ძალიან მაღალია – ამ ეტაპზე უკვე ფიქსირდება 10 მსურველი, რაც ზღვრულ რაოდენობასთან მიმართებით შესაძლოა კონკურსის ჩატარების საფუძველი გახდეს. სკოლა სამომავლოდ განიხილავს სხვა პროფესიული პროგრამების დამატებასაც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ – საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მერჯევის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ – საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მერჯევის საჯარო სკოლაში (ს/კ:239404097) ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2026 წლის 21 აგვისტო.

მეექვსე საკითხი: სსიპ – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მიმოზა ღოლიჯაშვილმა, საბჭოს გააცნო სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლაში 2026 წლის 16 ივნისს განხორციელებული მონიტორინგის შედეგები. მონიტორინგის მიზანი იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „Front-End დეველოპმენტი“ – განხორციელებისა და ავტორიზაციის პირობების შესრულების შეფასება. აღნიშნული პროგრამა ხორციელდება სრულად იმიტირებულ სამუშაო გარემოში. წინა ადმინისტრაციული წარმოებისას მე-2 სტანდარტის კომპონენტი 2.2 შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ხოლო მე-4 სტანდარტის კომპონენტი 4.1 – როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი“. წარმოდგენილი დოკუმენტაციის, გასაუბრებებისა და დათვალიერების საფუძველზე, მიმდინარე მონიტორინგის შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა ორივე კომპონენტი (2.2 და 4.1) და მთლიანად აღნიშნული სტანდარტები შეაფასა როგორც „სრულად შესაბამისი“.
ინდიკატორების მიხედვით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კუთხით დაწესებულებას სრულად აქვს გამოყოფილი და მოწყობილი იმიტირებული AC გარემო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, საპრეზენტაციო საშუალებებით, უწყვეტი ინტერნეტის წყაროთი და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით. სკოლამ წარმოადგინა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ყველა რესურსის შესყიდვის, მიღება-ჩაბარებისა და ხელშეკრულებების სრული დოკუმენტაცია. პროგრამის განსახორციელებლად სკოლას ჰყავს 21 მასწავლებელი: 3 პროფესიული მოდულის, 3 ზოგადი მოდულის და 15 ინტეგრირებული მოდულის პედაგოგი. მათი დატვირთვა შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსს და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პედაგოგებს აქვთ მრავალწლიანი გამოცდილება, გავლილი აქვთ პროფესიული უნარების სააგენტოსა და ინტეგრირებული მოდულების ტრენინგები. პროგრამის ხელმძღვანელი არის მაღალკვალიფიციური დარგობრივი სპეციალისტი, რაც დადებითად შეფასდა სტუდენტებთან გასაუბრების დროსაც. ბიბლიოთეკაში შექმნილია სამკითხველო სივრცე, რომელიც აღჭურვილია წიგნადი ფონდით, კომპიუტერებით, ნოუთბუქითა და პრინტერით. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულების 29-ე მუხლი სრულად არეგულირებს შშმ და სსსმ სტუდენტთა სწავლებას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მოდიფიკაციასა და უსაფრთხოებას. ფინანსური რესურსი ეფუძნება ვაუჩერულ დაფინანსებას და სრულად ფარავს პერსონალის შრომის ანაზღაურებასა და მასალებს.
მე-4 სტანდარტის მიმართულებით სკოლამ წარადგინა განახლებული ორგანოგრამა, სადაც მკაფიოდ არის გამოყოფილი პროფესიული განათლების სტრუქტურული ერთეულები: ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესზე

პასუხისმგებელი პირი, რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, პროფესიული განათლების მასწავლებლები და ტექნიკური პერსონალი. სტრუქტურა სრულად გამორიცხავს ფუნქციურ აღრევას და აწესრიგებს ანგარიშვალდებულებას დირექტორისა და უშუალო ხელმძღვანელების წინაშე. სკოლის დირექტორის 2025 წლის ბრძანებით დამტკიცებულია სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც ეფუძნება დემინგის ციკლს (PDCA). პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა დეტალურად განსაზღვრავს შერჩევის ეტაპებს, შიდა და გარე კონკურსის პროცედურებს, შრომით ურთიერთობებს, მოტივაციისა და დისციპლინური წარმოების საკითხებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა ნათია ბუთხუზმა დასვა კითხვა შეფასების ინსტრუმენტებთან, დარგობრივ შემოწმებასა და ვერიფიკაცია-ვალიდაციის პროცედურებთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული დოკუმენტები და პრაქტიკული პროცესი. ექსპერტმა მიმოზა ღოლიჯაშვილმა განმარტა, რომ მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა კონკრეტული კომპონენტების (2.2 და 4.1) შემოწმება, რის გამოც პრაქტიკული პროცესების სიღრმისეული რევიზია (მაგალითად, სტუდენტთა პორტფოლიოების შემოწმება) არ განხორციელებულა, ვინაიდან სასწავლო პროცესი ჯერ დასრულებული არ იყო. თუმცა, გასაუბრება ჩატარდა როგორც განმახორციელებლებთან და ადმინისტრაციასთან (ხარისხის მენეჯერთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან), ისე დარგის სპეციალისტებთან. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას წესში დეტალურად და თანმიმდევრულად აქვს გაწერილი ვალიდაციისა და ვერიფიკაციის მექანიზმები, ხოლო პერსონალი სრულად ფლობს ინფორმაციას შეფასების პროცედურების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ ექსპერტს მიმართა შეკითხვით პროგრამის მდგრადობის შესახებ. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ პროგრამაზე დასაქმებულია მხოლოდ ერთი დარგის სპეციალისტი, ხოლო მეორე სპეციალისტთან მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად ქმნის ეს გარემოება რისკს პროგრამის მდგრადობისთვის რეგიონში კადრების დეფიციტის ფონზე. ექსპერტმა მიმოზა ღოლიჯაშვილმა განმარტა, რომ რეგიონში კადრების დეფიციტი ნამდვილად არსებობს და დარგის სპეციალისტი თბილისიდან ჩადის. თუმცა, სკოლას გააჩნია მოქნილი საგაკვეთილო ცხრილი და ლავირების შესაძლებლობა, რათა საჭიროების შემთხვევაში სალექციო პროცესი არ ჩაიშალოს. ამასთანავე, სკოლას უკვე ჰქონდა მზაობა და მოლაპარაკება მეორე სპეციალისტთან, რომელიც ამთავრებდა სასწავლებელს, და ასევე გეგმავდა ვაკანსიის გამოცხადებას. ექსპერტმა ხაზი გაუსვა სტუდენტების განსაკუთრებულ კმაყოფილებასა და მოტივაციას მოქმედი პედაგოგის მიმართ და აღნიშნა, რომ გაცდენის არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული ფაქტი კრიტიკულ რისკად არ მიიჩნია.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე იკითხა, ხომ არ არსებობდა ექსპერტების მხრიდან რაიმე რეკომენდაცია დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის. ექსპერტმა განმარტა, რომ ოფიციალური რეკომენდაცია დასკვნაში არ ჩაუწერიათ,, თუმცა გასაუბრებისას ზეპირად გაუზიარეს რჩევები სწავლა-სწავლების ხარისხის, შეფასებისა და მოდულების განმახორციელებელთა გაძლიერების მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლაში (ს/კ:238146190) ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2026 წლის 21 აგვისტო.

მეშვიდე საკითხი: სსიპ – მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის N2 საჯარო სკოლის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მიმოზა ღოლიჯაშვილმა წარადგინა სსიპ მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის №2 საჯარო სკოლაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის („ფოტოგრაფია“) ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შედეგები. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2026 წლის 23 ივნისს. წარდგენილი დოკუმენტაციის, ჩატარებული ინტერვიუებისა და ადგილზე დათვალიერების შედეგად, პროგრამა შეფასდა სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში. კერძოდ, მეორე სტანდარტის 2.2 და მეოთხე სტანდარტის 4.1 კომპონენტები, რომლებიც მანამდე მეტწილად ან ნაწილობრივ შესაბამისობაში იყო, მონიტორინგის შედეგად სრულ შესაბამისობაში შევიდა.
მატერიალური რესურსისა და გარემოს კომპონენტთან დაკავშირებით (2.2.1.1) აღინიშნა, რომ პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია იმიტირებული სასწავლო გარემო (A, B და C), რომელიც სრულად აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, მაღალი ხარისხის ფოტოტექნიკით,

საპრეზენტაციო საშუალებებით, ლაბორატორიით, ბიბლიოთეკითა და უწყვეტი ინტერნეტკავშირით. ადამიანური რესურსის მიმართულებით (2.2.1.2; 2.2.1.3; 2.2.1.4) პროგრამას ემსახურება 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი (მათ შორის 4 პროფესიული და 7 ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებელი), რომელთა დატვირთვაც არ აღემატება კვირაში 40 საათს. პერსონალს გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგები ინტეგრირებული მოდულების სწავლებაში, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს დარგობრივად მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს. დაწესებულებას გააჩნია სრული ინსტიტუციური მზაობა სსსმ პირთა მისაღებად (2.2.1.6), ხოლო ფინანსური მოდელი (2.2.1.7) ეფუძნება მაღალმთიანი რეგიონის გაზრდილ ვაუჩერულ დაფინანსებას, რაც უზრუნველყოფს ხარჯების სრულ დაფარვას.

პერსონალისა და პროცესების მართვის სტანდარტთან (4.1) მიმართებით წარმოდგენილია განახლებული სტრუქტურა, მართვის ვერტიკალი და თანამშრომელთა მკაფიო ფუნქცია-მოვალეობები, რაც გამორიცხავს საქმიანობის დუბლირებას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ეფუძნება დემინგის ციკლს (PDCA) და გამიჯნულია შეფასებისა და შესრულების რგოლები, რითაც გამორიცხება ინტერესთა კონფლიქტი. რეგიონული თავისებურებებიდან და კადრების დეფიციტიდან გამომდინარე, პერსონალის შერჩევა-დასაქმების პოლიტიკა ითვალისწინებს როგორც შიდა, ისე პირდაპირი დანიშვნის პრაქტიკას დირექტორის მიერ დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, ექსპერტს დაუსვა კითხვა კადრების პირდაპირი დანიშვნის პრაქტიკის ობიექტურობასა და გამჭვირვალობასთან დაკავშირებით. ექსპერტმა განმარტა, რომ პირდაპირი დანიშვნის შესაძლებლობა გაწერილია თავად დაწესებულების სამართლებრივ აქტებში. აღნიშნული განპირობებულია მესტიის რეგიონის რთული გეოგრაფიულ-კლიმატური მდებარეობითა და ადგილობრივი კადრების მწვავე დეფიციტით. ამასთან, „ფოტოგრაფია“ წარმოადგენს ტურისტული რეგიონისთვის უაღრესად მოთხოვნად და თვითდასაქმებაზე ორიენტირებულ პროფესიას, ხოლო შერჩეული კადრები სრულად აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს.

მეორე კითხვა შეეხო იმ გარემოებას, რომ ყველა მასწავლებელს არ ჰქონდა გავლილი ინტეგრირებული მოდულების ტრენინგები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა პედაგოგებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება. გარდა ამისა, სკოლას სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე პერსონალის გადამზადების ვალდებულება სამინისტროს მხარდაჭერით, რის გამოც აღნიშნული გარემოება რისკად აღარ შეფასდა.

თავმჯდომარის მესამე შეკითხვა შეეხებოდა ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის პრაქტიკულ მტკიცებულებებს შიდა დოკუმენტაციის მიღმა. ექსპერტმა განმარტა, რომ ადმინისტრაციასთან და ხარისხის მენეჯერთან გასაუბრებამ დაადასტურა მათი მკაფიო კომპეტენცია ვალიდაციისა და ვერიფიკაციის გამიჯვნაში. პერსონალმა ზუსტად იცოდა საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები, რამაც სრულად გამორიცხა ინტერესთა კონფლიქტის არსებობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ – მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის N2 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ – მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის N2 საჯარო სკოლაში (ს/კ:235894458) ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2026 წლის 21 აგვისტო.

მერვე საკითხი: სსიპ გიორგი ჭყონდიდელის სახელობის ქალაქ ფოთის №7 საჯარო სკოლის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ზაირა ბერიძემ, საბჭოს გააცნო სსიპ გიორგი ჭყონდიდელის სახელობის ქალაქ ფოთის №7 საჯარო სკოლაში 2026 წლის 17 ივნისს განხორციელებული მონიტორინგის შედეგები. შემოწმების მიზანი იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „Front-End დეველოპმენტი“ – განხორციელებისა და ავტორიზაციის პირობების შესრულების შეფასება. წინა ვიზიტისას დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა მე-2 (კომპონენტი 2.2) და მე-4 (კომპონენტი 4.1) სტანდარტებთან მიმართებით, სადაც მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა სტრუქტურული ერთეულის გამართულობა, პერსონალის მართვის პოლიტიკა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა. მიმდინარე მონიტორინგის შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა ორივე კომპონენტი და მთლიანად აღნიშნული სტანდარტები შეაფასა როგორც „სრულად შესაბამისი“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ფარგლებში დეტალურად შემოწმდა შეფასების ინსტრუმენტები, ვერიფიკაციისა და ვალიდაციის დოკუმენტები, ხარისხის მართვის

მექანიზმები და ჩატარდა გასაუბრებები როგორც ახალ ადმინისტრაციულ პერსონალთან (პროფესიული განათლების მიმართულების ხელმძღვანელი, ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციაზე პასუხისმგებელი პირი), ისე განმახორციელებელ პედაგოგებთან და სტუდენტებთან. მატერიალურ-ტექნიკური რესურსის კუთხით, დაწესებულებას სრულად აქვს აღჭურვილი 10 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი სასწავლო აუდიტორია. პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (კვოტა) შეადგენს 20-ს, რომელიც გადანაწილებულია ორ მიღებაზე. პირველ ნაკადში ჩარიცხული 10 სტუდენტიდან ვიზიტის პერიოდში აქტიური იყო 7 სტუდენტი, ხოლო დარჩენილი 10 ადგილის შევსებას სკოლა მიმდინარე მიღებისას გეგმავს. სტუდენტებთან გასაუბრებამ დაადასტურა მათი მაღალი კმაყოფილება და პოზიტიური უკუკავშირი სწავლების ხარისხთან დაკავშირებით.
რეგიონში IT მიმართულებით კადრების დეფიციტის საპასუხოდ, სკოლამ გამოავლინა შორსმჭვრეტელი მიდგომა და შეიმუშავა რესურსების განვითარების გეგმა: სხვა სკოლებთან თანამშრომლობის გარდა, დაწესებულება საკუთარი წარმატებული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ეტაპობრივ პროფესიულ გაზრდასა და პედაგოგიურ საქმიანობაში ჩართვას გეგმავს. ამ მიზნით სკოლაში უკვე დანერგილია ადაპტაციის კომპონენტი, სადაც გამოცდილი პედაგოგები ახალ თანამშრომლებს ეხმარებიან სისტემაში ხარისხიანად ინტეგრირებაში. ექსპერტთა ჯგუფს ახალი ხარვეზები არ გამოუვლენია და დამატებითი რეკომენდაციები არ გაუცია, ვინაიდან წინა რეკომენდაციებით გათვალისწინებული ყველა ინდიკატორი სრულად შესრულდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.
საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ ექსპერტს დაუსვა კითხვა, ხომ არ გამოიკვეთა ფუნქციური გადაფარვა ან ინტერესთა კონფლიქტი პროფესიული განათლების კოორდინატორის, პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოვალეობებს შორის და რამდენად მდგრადია განხორციელებული ცვლილებები. ექსპერტმა ზაირა ბერიძემ განმარტა, რომ ფუნქციათა გადაფარვა არ დაფიქსირებულა. პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც უშუალოდ არის ჩართული სწავლების პროცესში და პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა, რაც მკაფიოდ გამორიცხავს მის ადმინისტრაციულ ნაწილში გადასვლას. ადმინისტრაციული ფუნქციები კი სრულად გამიჯნულია და ცალკე კადრებით არის დაკომპლექტებული. ხარისხის მართვის მენეჯერს დეტალურად აქვს გაწერილი ფუნქციები და შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა, რაც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. მდგრადობასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ მიმდინარე ეტაპზე პროცესები სრულად მოწესრიგებულია და გამოწვევები აღმოფხვრილია, თუმცა მომავალში კვოტის ზრდასთან ერთად შესაძლოა საჭირო გახდეს ადამიანური რესურსის პროპორციული გაფართოებაც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ გიორგი ჭყონდიდელის სახელობის ქალაქ ფოთის №7 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ

გიორგი ჭყონდიდელის სახელობის ქალაქ ფოთის №7 საჯარო სკოლაში (ს/კ:215113268) ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2026 წლის 21 აგვისტო.

მეცხრე საკითხი: სსიპ – ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
დარგის ექსპერტი, თამარ ჯანგულაშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საბჭოს გააცნო სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში 2026 წლის 16 ივნისს განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგები. მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „ადმინისტრაციული სერვისები“ – განხორციელებისა და ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება. წინა ვიზიტისას მეორე სტანდარტის კომპონენტი 2.2 (პროგრამის განხორციელების რესურსები) შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ხოლო მეოთხე სტანდარტის კომპონენტი 4.1 (პერსონალისა და პროცესების მართვა) – როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი“. მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში დოკუმენტაციის შესწავლის, მატერიალური ბაზის დათვალიერებისა და ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა ორივე კომპონენტი და მთლიანად აღნიშნული სტანდარტები შეაფასა როგორც „სრულად შესაბამისი“.
ექსპერტმა დეტალურად მიმოიხილა განხორციელებული გაუმჯობესებები. დაწესებულებამ უზრუნველყო სტრუქტურული ერთეულების გამართვა და მათ შორის ფუნქცია-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების მკაფიო გადანაწილება, რითაც სრულად აღმოიფხვრა წინა ვიზიტისას დაფიქსირებული ხარვეზები. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კუთხით, სკოლამ სრულად შეისყიდა ყველა საჭირო ინვენტარი, მოაწყო იმიტირებული სამუშაო და სასწავლო გარემო, აღჭურვა კომპიუტერული ტექნიკითა და ბიბლიოთეკით, სადაც

ხელმისაწვდომია ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები. პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, თითოეულ მოდულზე წარმოდგენილია მინიმუმ ორი განმახორციელებელი პედაგოგი, რომელთა ხელშეკრულებები და კვალიფიკაცია სრულად გადამოწმდა. პროგრამის ხელმძღვანელმა, კოორდინატორმა და მასწავლებლებმა გაიარეს შესაბამისი ტრენინგ-კურსები პროფესიული და ზოგადსაგანმანათლებლო მიმართულებებით. სკოლას ჰყავს 6 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, რაც ადასტურებს დაწესებულების პრაქტიკულ გამოცდილებას ინკლუზიური განათლების მხარდაჭერაში. პროგრამა ფინანსდება სახელმწიფო ვაუჩერით, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 20 ადგილით.

ექსპერტთა ჯგუფს ახალი ხარვეზები არ გამოუვლენია და სავალდებულო რეკომენდაციები არ გაუცია, თუმცა დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის გასცა განმავითარებელი რეკომენდაციები. კერძოდ, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ცნობადობის ამაღლება „ადმინისტრაციული სერვისების“ პროგრამის მიმართულებით როგორც სკოლის მოსწავლეებში, ისე ადგილობრივ თემში, და გააგრძელოს ტრენინგების ორგანიზება პროგრამის ხელმძღვანელისა და მოდულების განმახორციელებელი პერსონალის საჭიროებებზე დაყრდნობით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე დაინტერესდა განმავითარებელი რეკომენდაციის გაცემის მიზეზით, კერძოდ, რა გარემოებამ განაპირობა პროგრამის ცნობადობის ამაღლების თაობაზე რეკომენდაციის ჩაწერა. ექსპერტმა თამარ ჯანგულაშვილმა განმარტა, რომ პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 20 ადგილით, ხოლო მონიტორინგის მომენტში პროგრამაზე სწავლობდა მხოლოდ 6 სტუდენტი. ვინაიდან კვოტა არ იყო სრულად შევსებული, ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება, რათა სკოლამ კიდევ უფრო გააქტიუროს საინფორმაციო კამპანია როგორც ადიგენის მუნიციპალიტეტში, ისე სკოლის მოსწავლეებს შორის. ექსპერტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სკოლის დირექტორი და პროცესში ჩართული ყველა პირი ისედაც აქტიურად და მოტივირებულად ზრუნავს პროგრამის პოპულარიზაციასა და ცნობადობის ამაღლებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ – ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ – ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში (ს/კ:222727985) ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2026 წლის 21 აგვისტო.

მეათე საკითხი: სსიპ ქალაქ ოზურგეთის N1 საჯარო სკოლის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზაირა ბერიძემ, საბჭოს გააცნო სსიპ ქალაქ ოზურგეთის №1 საჯარო სკოლაში 2026 წლის 15 ივნისს განხორციელებული მონიტორინგის შედეგები. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „ადმინისტრაციული სერვისები“ – განხორციელებისა და წინა ვიზიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების შემოწმება. წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გამოვლენილი ხარვეზები ეხებოდა მე-4 სტანდარტის კომპონენტს 4.1 (პერსონალისა და პროცესების მართვა) და მე-2 სტანდარტის კომპონენტს 2.2 (პროგრამის განხორციელების რესურსები). მიმდინარე შემოწმების, დოკუმენტაციის დეტალური რევიზიის, სასწავლო გარემოს დათვალიერებისა და ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა ორივე კომპონენტი და მთლიანად აღნიშნული სტანდარტები შეაფასა როგორც „სრულად შესაბამისი“.
პრეზენტაციისას ექსპერტმა დეტალურად ისაუბრა დაწესებულებაში განხორციელებულ პოზიტიურ ცვლილებებზე. პერსონალის მართვის მიმართულებით სკოლას იდენტიფიცირებული და შერჩეული ჰყავს ყველა საჭირო კადრი: პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის მართვის სპეციალისტი, სასწავლო პროცესის კოორდინატორი და შესაბამისი პედაგოგები. სკოლის დირექტორი უშუალოდ და აქტიურად არის ჩართული ხარისხიანად სასწავლო პროცესის წარმართვაში. გასაუბრებებით დადასტურდა, რომ თანამშრომლები ზედმიწევნით კარგად იცნობენ თავიანთ ფუნქცია-მოვალეობებს და სრულად აქვთ გაწერილი სამოქმედო გეგმები, სასწავლო ცხრილები და შეფასების პროცედურები. ვინაიდან სტუდენტები არასრულწლოვნები არიან, სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მუდმივ კონტროლსა და კომუნიკაციას როგორც მოსწავლეებთან, ისე მათ ოჯახებთან.
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თვალსაზრისით, სკოლამ სრულად მოაწყო და შესაბამისი რესურსებით, ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვა იმიტირებული სამუშაო და სასწავლო გარემო. პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, თითოეულ მოდულზე წარმოდგენილია ორი განმახორციელებელი პედაგოგი, რაც გამორიცხავს სასწავლო პროცესის შეფერხებას.

სტუდენტთა კვოტა განსაზღვრულია 20 ადგილით და იგი სრულად იყო ათვისებული (თუმცა განიხილებოდა ერთი სტუდენტის ქვეყნიდან გამგზავრების გამო სტატუსის შესაძლო შეჩერება). სკოლას გააჩნია ადაპტაციის (ონბორდინგის) გამართული სისტემა და მჭიდროდ თანამშრომლობს მეზობელ პროფესიულ კოლეჯ „ჰორიზონტთან“, რაც მასწავლებელთა კვალიფიკაციის მუდმივ განახლებასა და მხარდაჭერას უწყობს ხელს. ექსპერტთა ჯგუფს ახალი ხარვეზები არ გამოუვლენია და განმავითარებელი წერილობითი რეკომენდაციები აღარ გაუცია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.
საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე დაინტერესდა რეგიონული სპეციფიკით გამოწვეული კადრების დეფიციტის საკითხით და იკითხა, თუ როგორ აფასებს ექსპერტი სკოლის შესაძლებლობას, მომავალშიც სტაბილურად შეინარჩუნოს და მოიზიდოს კვალიფიციური პერსონალი. ექსპერტმა ზაირა ბერიძემ განმარტა, რომ არსებული 20-კაციანი კონტინგენტისთვის სკოლას საკადრო პრობლემა არ გააჩნია, თუმცა სამომავლოდ კვოტის ზრდის შემთხვევაში, კადრების მოძიება გამოწვევად დარჩება. ამ რისკის დასაზღვევად ექსპერტმა სკოლას გაუზიარა რჩევა, რომ საკუთარი წარმატებული სტუდენტები და კურსდამთავრებულები ეტაპობრივად გაზარდონ და ჩართონ პედაგოგიურ საქმიანობაში, რათა ადგილზე შეიქმნას დარგობრივი რესურსი.
საბჭოს თავმჯდომარის დამატებით კითხვაზე, გააჩნია თუ არა დაწესებულებას პერსონალის განვითარების გრძელვადიანი გეგმა და არა მხოლოდ ერთჯერადი ტრენინგები, ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლას აქვს სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს მუდმივ მენტორინგს, შეფასების ინსტრუმენტების დახვეწასა და სწავლის შედეგების სწორ იდენტიფიცირებას. ეს პროცესი არ არის ერთჯერადი და სისტემურად ხორციელდება.
თავმჯდომარის შეკითხვაზე, თუ რა იყო სკოლაში ვიზიტისას დანახული ყველაზე მნიშვნელოვანი პროგრესი, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლამ სიღრმისეულად გაიაზრა პროფესიული განათლების არსი და ისწავლა მისი სწორად მართვა. ადმინისტრაციასა და პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ პროფესიული სტანდარტების მოთხოვნები, რაც დაწესებულების უმთავრეს მიღწევას წარმოადგენს.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ქალაქ ოზურგეთის N1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ქალაქ ოზურგეთის N1 საჯარო სკოლაში (ს/კ:237095905) ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2026 წლის 21 აგვისტო.

მეთერთმეტე საკითხი: სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ზაირა ბერიძემ, საბჭოს გააცნო სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები. ვიზიტის მიზანი იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „Front-End დეველოპმენტი“ – განხორციელებისა და წინა ვიზიტისას გაცემული რეკომენდაციების შესრულების შემოწმება. წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ხარვეზები დაფიქსირებული იყო მე-2 (კომპონენტი 2.2) და მე-4 (კომპონენტი 4.1) სტანდარტებთან მიმართებით. მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში დოკუმენტაციის დეტალური შესწავლის, მატერიალური ბაზის დათვალიერებისა და ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა ორივე კომპონენტი და მთლიანად აღნიშნული სტანდარტები შეაფასა როგორც „სრულად შესაბამისი“.
ექსპერტმა ხაზი გაუსვა სტუდენტებთან და პედაგოგებთან გამართულ გასაუბრებებს. აღინიშნა, რომ სტუდენტები (რომლებიც სრულად იყვნენ წარმოდგენილი და მესტიაში ექსკურსიაზე ყოფნის მიუხედავად დისტანციურად ჩაერთნენ გასაუბრებაში) გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული ინფორმირებულობით, ზუსტად იცოდნენ პროგრამის მიზნები და ავლენდნენ მაღალ ფუნქციურ ჩართულობას. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კუთხით, დაწესებულებას სრულად აქვს მოწყობილი და აღჭურვილი იმიტირებული სასწავლო აუდიტორია. პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული კვოტა განსაზღვრულია 30 ადგილით (ორ 15-კაციან მიღებაზე), ხოლო მონიტორინგის მომენტში ირიცხებოდა 7 აქტიური სტუდენტი.
პერსონალის მართვის მიმართულებით სკოლას დაკომპლექტებული ჰყავს ყველა საჭირო კადრი: ხარისხის სპეციალისტი, სასწავლო პროცესის სპეციალისტი, პროფორიენტაციის ხელმძღვანელი და პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ორი დარგობრივი და ორი სხვადასხვა მოდულის განმახორციელებელი პედაგოგი, რაც უზრუნველყოფს სწავლების უწყვეტობასა და მდგრადობას. ექსპერტმა აღნიშნა პედაგოგების გამორჩეული მოტივაცია, მათი მჭიდრო თანამშრომლობა ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლებთან საერთო საგაკვეთილო მიდგომების შესამუშავებლად და მრავალფეროვანი

სასწავლო რესურსების (მათ შორის, დამხმარე მასალებისა და დავალებების) შექმნა. ექსპერტთა ჯგუფს ახალი ხარვეზები არ გამოუვლენია და ოფიციალური წერილობითი რეკომენდაციები არ გაუცია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.
საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე დაინტერესდა დასკვნაში ასახული ჩანაწერით შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესების დახვეწის შესახებ და იკითხა, თუ რა კონკრეტული სუსტი მხარეები გამოიკვეთა ამ მიმართულებით. ექსპერტმა ზაირა ბერიძემ განმარტა, რომ შეფასების ინსტრუმენტების შინაარსი და სტრუქტურა აბსოლუტურად გამართული და სწორი იყო. მისი მხრიდან მითითება ეხებოდა მხოლოდ ტექნიკურ მხარეს – კერძოდ, ინსტრუმენტების კიდევ უფრო მეტად დახვეწასა და პროფესიული განათლების არსებულ ფორმატებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანას, რაც ხარვეზს არ წარმოადგენს და მხოლოდ სამომავლო განვითარების რჩევაა.
თავმჯდომარის შეკითხვაზე კარიერული დაგეგმვისა და კადრების შენარჩუნების შესახებ, ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეგიონული სპეციფიკის გამო კადრების მოძიება გამოწვევად რჩება, თუმცა სკოლას ჰყავს ძლიერი, ადგილზე დაბრუნებული ახალგაზრდა პედაგოგები. ექსპერტმა დაწესებულებას ურჩია, რომ მომავალში კვოტის ზრდის შემთხვევაში, პედაგოგიური რესურსის შესავსებად გამოიყენონ საკუთარი წარმატებული სტუდენტები და კურსდამთავრებულები ასისტირებისა და მენტორინგის გზით (რაც სკოლას უკვე პრაქტიკაში ჰქონდა დანერგილი პროგრამის ხელმძღვანელის ასისტენტის სახით). ექსპერტმა ასევე დაადასტურა, რომ სკოლას აქვს პერსონალის განვითარების გრძელვადიანი ხედვა და სამოქმედო გეგმა.
საბჭოს წევრმა გოჩა გოგიტიძემ დასვა კითხვა მასწავლებელთა გამორჩეული მოტივაციის მიზეზებზე და იკითხა, თუ ვინ არიან ეს პედაგოგები – დარგობრივი სპეციალისტები თუ სკოლის მასწავლებლები. ექსპერტმა უპასუხა, რომ მაღალ მოტივაციას ავლენენ როგორც ახალგაზრდა დარგობრივი პედაგოგები (რომლებიც პირდაპირ ცხოვრობენ ამ პროგრამით, ქმნიან უამრავ დამხმარე დოკუმენტს და აქტიურად თანამშრომლობენ სტუდენტებთან), ისე დიდი გამოცდილების მქონე ინტეგრირებული მოდულების პედაგოგები. ეს უკანასკნელნი გამოირჩევიან მუდმივი პროფესიული განვითარების სურვილით, ესწრებიან ყველა ხელმისაწვდომ ტრენინგს და პროფესიული სტუდენტებისთვის სპეციალურად ქმნიან დამატებით სასწავლო დავალებებს მათემატიკაში, ფიზიკასა და ბიოლოგიაში.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლაში (ს/კ:237101989) ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2026 წლის 21 აგვისტო.

მეთორმეტე საკითხი: სსიპ – შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის №3 საჯარო სკოლის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვალერი ჯაჯანიძემ, საბჭოს გააცნო სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის №3 საჯარო სკოლაში (მისამართი: ქ. საჩხერე, ნოზაძის ქუჩა №19) 2026 წლის 17 ივნისს განხორციელებული მონიტორინგის შედეგები. მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „Front-End დეველოპმენტი“ – განხორციელებისა და წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შემოწმება. წინა წარმოებისას მეორე სტანდარტის კომპონენტი 2.2 შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ხოლო მეოთხე სტანდარტის კომპონენტი 4.1 – როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი“. მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში დოკუმენტაციის შესწავლის, მატერიალური ბაზის დათვალიერებისა და ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა ორივე კომპონენტი და მთლიანად აღნიშნული სტანდარტები შეაფასა როგორც „სრულად შესაბამისი“.
ექსპერტმა დეტალურად ისაუბრა დაწესებულებაში განხორციელებულ ცვლილებებზე. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კუთხით, 2026 წლის მაისში სკოლას გადაეცა და ბალანსზე აღერიცხა უახლესი ტექნიკური აღჭურვილობა (პერსონალური კომპიუტერები, ჭკვიანი დაფა, პრინტერი, ავეჯი და დემონსტრირების ციფრული საშუალებები), რომლითაც სრულად მოეწყო 10 სტუდენტზე გათვლილი სასწავლო აუდიტორია (ABC გარემო). სასწავლო გეგმის შეფასებისას გამოვლინდა, რომ სანამ სკოლა მიიღებდა ახალ ტექნიკას, შესაბამისი მოდულების სწავლება უზრუნველყო სკოლის ბალანსზე მანამდე არსებული კომპიუტერული რესურსით, რაც დარგის ექსპერტის მიერ შეფასდა და ჩაითვალა სწავლის შედეგების მისაღწევად სავსებით რელევანტურად. პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 20-ს, ხოლო მონიტორინგის მომენტში ირიცხებოდა 5 აქტიური სტუდენტი. კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სწავლებისას შეადგენს 88 კრედიტს, ხოლო არაინტეგრირებულ შემთხვევაში – 60 კრედიტს. ციფრული რესურსები ინტეგრირებულია LMS პლატფორმაზე, ხოლო

ბიბლიოთეკა აღჭურვილია როგორც წიგნადი, ისე ელექტრონული ფონდით. შექმნილია ინკლუზიური სასწავლო გარემო და არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის რეგულაცია. ადამიანური რესურსისა და მართვის მიმართულებით, სკოლამ შეიმუშავა განახლებული ორგანოგრამა, სადაც მკაფიოდ არის გამიჯნული პროფესიული მიმართულების სტრუქტურა და იერარქია: პროფესიული განათლების კოორდინატორი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, შესყიდვების სპეციალისტი, რეესტრის მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი და პედაგოგები. სულ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 11 მასწავლებელი (8 ზოგადი/ინტეგრირებული და 3 პროფესიული მოდულების პედაგოგი). პედაგოგებს გავლილი აქვთ პროფესიული უნარების სააგენტოს ტრენინგები, ფლობენ დარგობრივ საერთაშორისო სერტიფიკატებს, ხოლო საკადრო რესურსი უზრუნველყოფს ჩანაცვლებადობას. სკოლის შინაგანაწესი სრულ შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კოდექსთან, ფუნქციები და უფლებამოსილებები მკაფიოდ არის გამიჯნული და გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.
საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე დაინტერესდა, რამდენად მკაფიოდ არის გამიჯნული ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული მიმართულების თანამშრომელთა ფუნქციები პრაქტიკაში, ხომ არ არსებობს ფუნქციათა გადაფარვის რისკი და როგორ არის დარეგულირებული მათი შრომის ანაზღაურება. ექსპერტმა ვალერი ჯაჯანიძემ განმარტა, რომ ადმინისტრაციულ საკვანძო პოზიციებზე (კოორდინატორი, ხარისხის მენეჯერი, რეესტრის მენეჯერი, შესყიდვები) დასაქმებული პირები არიან სკოლის თანამშრომლები, თუმცა მათთან გაფორმებულია დამატებითი შეთანხმებები და საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და სამუშაო აღწერილობებში მკაფიოდ არის გაწერილი მათი ფუნქციები პროფესიული განათლების მიმართულებით, რაც ფუნქციურ გადაფარვას გამორიცხავს. ექსპერტმა დაადასტურა, რომ ამ პირებს პროფესიული მიმართულებით საქმიანობისთვის დანიშნული აქვთ დამატებითი შრომის ანაზღაურება, ხოლო არსებული ერთი ჯგუფის პირობებში გამოყოფილი ადმინისტრაციული რესურსი სავსებით საკმარისია.
საბჭოს თავმჯდომარის შეკითხვაზე, გამოიკვეთა თუ არა პერსონალის საჭიროებების ანალიზის საფუძველზე პროფესიული განვითარების დაგეგმვის კონკრეტული მაგალითები, ექსპერტმა უპასუხა, რომ ხარისხის მენეჯერს შემუშავებული ჰქონდა კალენდარული გეგმა. ვინაიდან პროგრამა ახალი დანერგილია, სკოლის პერსონალმა მიმდინარე ეტაპზე გაიარა სამინისტროს მიერ შეთავაზებული ყველა საჭირო ტრენინგი, ხოლო უშუალოდ სკოლის მუშაობის შედეგებზე დაფუძნებული შიდა საჭიროებების გამოკვეთას მინიმუმ ერთი სასწავლო წლის პრაქტიკული გამოცდილება დასჭირდება.
საბჭოს თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა ფინანსური მდგრადობით, ვინაიდან რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრული იყო 10 სტუდენტზე, ხოლო რეალურად ირიცხებოდა 5 სტუდენტი. ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლის ხელმძღვანელობასთან გასაუბრებით დადასტურდა მზაობა და ზემდგომი ორგანოებისგან არსებული ნებართვა, რომ საჭიროების შემთხვევაში ფინანსური დანაკლისი სრულად დაიფარება სკოლის საკუთარი ფინანსური რესურსებიდან, რაც პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას უზრუნველყოფს.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ – შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის №3 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ – შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის №3 საჯარო სკოლაში (ს/კ:239402678) ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2026 წლის 21 აგვისტო.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ცერცვაძემ, დატოვა სხდომა.

მეცამეტე საკითხი: სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირმა მეგრელიძემ, საბჭოს გააცნო სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები. ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 26 ივნისს სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლაში, (მისამართი: დაბა ქედა, წერეთლის ქ. N4). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 – ე მუხლის, მე – 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულებისა და დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის შემოწმების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – "Front- End დეველოპმენტი" დებულების 31 – ე მუხლის, მე – 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ წინა ვიზიტთან შედარებით დაწესებულება საგრძნობლად გაზრდილი და განვითარებული დახვდათ, თითოეულ თანამშრომელს (ხარისხის მართვის მენეჯერიდან დაწყებული, სასწავლო პროცესის კოორდინატორითა და პროგრამის ხელმძღვანელით

დასრულებული) სიღრმისეულად ჰქონდა გააზრებული საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები, რის საფუძველზეც ექსპერტთა ჯგუფმა ორივე შემოწმებული კომპონენტი და შესაბამისი სტანდარტები შეაფასა როგორც „სრულად შესაბამისი“.
მე-4 სტანდარტის ფარგლებში დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულებებით აყვანილი ჰყავს 5 ადმინისტრაციული პირი (ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის კოორდინატორი, შესყიდვების სპეციალისტი, რეესტრზე პასუხისმგებელი პირი და პროგრამის ხელმძღვანელი) და 12 პროგრამის განმახორციელებელი პედაგოგი. წარმოდგენილია გამართული ორგანიზაციული სტრუქტურა, სადაც ცალკე არის გამოყოფილი პროფესიული განათლების მიმართულება. სკოლის შიდა კადრებიდან საქმისმწარმოებელს დამატებით დაევალა რეესტრის წარმოება, ხოლო ბუღალტერს – შესყიდვების მიმართულებით პასუხისმგებლობა. თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობები რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო აღწერილობებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით.
მე-2 სტანდარტთან მიმართებით, პროგრამის „Front-End დეველოპმენტი“ სრულფასოვნად განხორციელებისთვის სკოლას გააჩნია თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 30 ადგილით, ხოლო მონიტორინგის პერიოდში სწავლობდა 10 პროფესიული სტუდენტი. ქედის რესურსცენტრის მიერ გადაცემული და მიღება-ჩაბარების აქტით გაფორმებული რესურსებით მოეწყო 15 სტუდენტზე გათვლილი სასწავლო აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია 16 პერსონალური კომპიუტერით, ორთოპედიული სავარძლებით, სპეციალური სამუშაო მაგიდებით, სმარტ დაფითა და კარადებით. გარდა ამისა, სკოლაში სრულად არის მოწყობილი ინტეგრირებული მოდულების სწავლებისთვის საჭირო სივრცეები: სპორტული დარბაზი, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიები, ასევე ქიმიის ვირტუალური და ფიზიკური ლაბორატორია. პედაგოგებს გავლილი აქვთ პროფესიული უნარების სააგენტოს ტრენინგები და შემუშავებული აქვთ შეფასების ინსტრუმენტები და კომპლექსური დავალებები. ექსპერტთა ჯგუფს ახალი ხარვეზები არ გამოუვლენია და არც შესაბამისობის და არც განმავითარებელი რეკომენდაციები აღარ გაუცია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.
საბჭოს წევრმა ნათია ბუთხუზმა დასვა კითხვა სტუდენტთა კონტინგენტთან დაკავშირებით, თუ რატომ ირიცხებოდა 30-კაციანი კვოტიდან მხოლოდ 10 სტუდენტი და ხომ არ ქმნის რისკს პროგრამაზე მხოლოდ ორი დარგის სპეციალისტის არსებობა. ექსპერტმა ირმა მეგრელიძემ განმარტა, რომ პირველ ეტაპზე მოსახლეობა და მოსწავლეები პროფესიულ პროგრამას გარკვეული ეჭვითა და კითხვის ნიშნებით უყურებდნენ, თუმცა შემდგომი კლასების მოსწავლეებმა დიდი ინტერესი გამოხატეს, რის გამოც მომდევნო მიღებებზე მოთხოვნის ზრდაა მოსალოდნელი. დარგის სპეციალისტებთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ ერთი ჯგუფის პირობებში ორი პედაგოგი სავსებით საკმარისია. პროგრამის ხელმძღვანელი ბათუმიდან ჩადის, თუმცა სკოლამ შეიმუშავა მოქნილი საგაკვეთილო ცხრილი, რომელიც მორგებულია მოწვეულ სპეციალისტებზე, რაც სასწავლო პროცესის შეფერხებას გამორიცხავს. სამომავლოდ კი სკოლა განიხილავს საკუთარი კურსდამთავრებულების პედაგოგიურ საქმიანობაში ეტაპობრივ ჩართვასაც.
საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ ექსპერტს დაუსვა კითხვა ხარისხის მართვის მენეჯერისა და სასწავლო პროცესის კოორდინატორის კვალიფიკაციასა და სამუშაო დატვირთვასთან დაკავშირებით. კერძოდ, რამდენად ახერხებენ ეს პირები სკოლის მასწავლებლობის (18-საათიანი პედაგოგიური დატვირთვა) და პროფესიული განათლების ადმინისტრაციული ფუნქციების (40-საათიანი შრომითი ხელშეკრულება) შეთავსებას ისე, რომ არ დაირღვეს საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი 40-საათიანი სამუშაო კვირის ნორმა და არ შეიქმნას ზეგანაკვეთური შრომის პრობლემა. ექსპერტმა ირმა მეგრელიძემ აღნიშნა, რომ ხარისხის მენეჯერი გამოირჩეოდა უმაღლესი კომპეტენციით, გავლილი ჰქონდა ყველა საჭირო ტრენინგი და ზედმიწევნით იცნობდა პროცესებს. დატვირთვასთან

დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ არსებული ერთი ჯგუფის პირობებში პერსონალი სრულად ართმევს თავს მოვალეობებს. საბჭოს თავმჯდომარემ ხაზგასმით მიუთითა სკოლის წარმომადგენელს, რომ შრომის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია გაიარონ იურიდიული კონსულტაცია, მკაფიოდ გამიჯნონ და დაარეგულირონ სამუშაო საათები, რათა მომავალში თავიდან აიცილონ კანონდარღვევა. სკოლის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინების მზაობა.
საბჭოს თავმჯდომარის დამატებით კითხვაზე ქედის მაღალმთიან რეგიონში ინტერნეტის სტაბილურობისა და სიჩქარის შესახებ, დარგის ექსპერტმა დაადასტურა, რომ სკოლაში შეყვანილია ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტი, სიჩქარე და სტაბილურობა სრულად შეესაბამება ნორმებს და „Front-End დეველოპმენტის“ პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას უზრუნველყოფს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლაში (ს/კ:246755738) ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2026 წლის 21 აგვისტო.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე გიგაურმა, დატოვა სხდომა.

მეთოთხმეტე საკითხი: სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ საკითხის განხილვა;
მეთხუთმეტე საკითხი: სსიპ – ქალაქ წალკის N1 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ საკითხის განხილვა;
მეთექვსმეტე საკითხი: სსიპ – ქალაქ სამტრედიის №12 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ბოტკოველი, მიესალმა დამსწრე პირებს და წარმოადგინა სამივე საჯარო სკოლაში ჩატარებული შეფასების შედეგები. ვიზიტები განხორციელდა შემდეგი გრაფიკით: ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლაში – 2026 წლის 21 ივლისს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში – 2026 წლის 24 ივლისს, ხოლო სამტრედიის №12 საჯარო სკოლაში – შესაბამის პერიოდში. სამივე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება გეგმავს ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელებას. სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობა ვერტყვიჭალისა და წალკის სკოლებისთვის შეადგენს 32-32 ადგილს, ხოლო სამტრედიის სკოლისთვის – 20 ადგილს (ორ ცვლაში 10-10 სტუდენტი).
ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა პირველი სტანდარტი (კომპონენტი 1.1), მესამე სტანდარტი (კომპონენტი 3.1), მეოთხე სტანდარტი (კომპონენტი 4.1) და მეორე სტანდარტი (კომპონენტი 2.2). ადამიანური რესურსების ნაწილში მეოთხე სტანდარტის 4.1 კომპონენტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი“, ხოლო მეორე სტანდარტის 2.2 კომპონენტი პროგრამის განხორციელების რესურსებთან მიმართებით – როგორც „მეტწილად შესაბამისი“.
სამივე სკოლასთან მიმართებით გაიცა მსგავსი შესაბამისობისა და განმავითარებელი რეკომენდაციები. კერძოდ, ინდიკატორთან 4.1.1.2 დაკავშირებით სკოლებს განესაზღვრათ ვალდებულება, უზრუნველყონ პროფესიული განათლების მიმართულების სრულფასოვანი ასახვა ორგანიზაციულ სტრუქტურაში, განაახლონ ორგანოგრამა და თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობები ისე, რომ მკაფიოდ გაიმიჯნოს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ფუნქციები, პასუხისმგებლობები, კოორდინაციის მექანიზმები და ანგარიშვალდებულება. ამ ვალდებულების შესასრულებლად ვადად განისაზღვრა 2026 წლის ოქტომბერი. ინდიკატორთან 4.1.2.1 მიმართებით გაიცა რეკომენდაცია შინაგანაწესის გადამუშავებასა და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების დახვეწაზე 2027 წლის იანვრამდე და მარტამდე, რათა მკაფიოდ გაიმიჯნოს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული მიმართულების პერსონალისა და სტუდენტთა უფლება-მოვალეობები. მეორე სტანდარტის ინდიკატორებთან (2.2.1.1, 2.2.1.2, 2.2.1.3, 2.2.1.5) დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია პროგრამის დანართით განსაზღვრული მატერიალური რესურსების სრულ მობილიზებაზე, პედაგოგთა დამატებით შერჩევასა და ხელშეკრულებების გაფორმებაზე, მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე (ტრენინგების ჩატარებაზე) და სასწავლო რესურსების განახლებაზე 2026 წლის ნოემბრამდე.
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თვალსაზრისით, სამივე სკოლაში მომზადებულია AB ტიპის სასწავლო გარემო და ინტეგრირებული მოდულებისთვის განკუთვნილი ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიები. წალკის №1 საჯარო სკოლასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ სამინისტროს ოფიციალური წერილით (2026 წლის 20 ივლისი) დაიწყო ნორიოს სკოლიდან საჭირო კომპიუტერული ტექნიკის გადმოცემის პროცედურა. პედაგოგიური რესურსის კუთხით, ვერტყვიჭალის სკოლაში ჩართულია 13 მასწავლებელი (8 ინტეგრირებული, 2

ზოგადი, 3 პროფესიული), წალკის №1 სკოლაში – 14 მასწავლებელი (8 ინტეგრირებული, 2 ზოგადი, 4 პროფესიული), ხოლო სამტრედიის №12 სკოლაში – 12 მასწავლებელი (8 ინტეგრირებული, 2 ზოგადი, 2 პროფესიული). სტუდენტთა ზღვრული ადგილების მოთხოვნა განისაზღვრა: ვერტყვიჭალის საჯარო სკოლისთვის – 32 ადგილი, წალკის №1 საჯარო სკოლისთვის – 32 ადგილი, ხოლო სამტრედიის №12 საჯარო სკოლისთვის – 20 ადგილი. სკოლების მიერ შემუშავებულია სტუდენტის უფლებების დაცვის, მობილობის, აპელაციისა და შეფასების შედეგების ვერიფიკაციის მექანიზმები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, ექსპერტს დაუსვა კითხვა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმების რეალისტურობასა და იმ რისკებთან დაკავშირებით, რაც შეიძლება თან სდევდეს პროგრამის დაწყებას. ექსპერტმა განმარტა, რომ გეგმა შედგენილია ლოგიკურად და პრაქტიკული კომპონენტები, რომლებიც სპეციფიკურ რესურსებს საჭიროებს, მე-11 თვიდან იწყება, რაც სკოლებს აძლევს სრულ შესაძლებლობას დროულად მოახდინონ რესურსების მობილიზება. ექსპერტის შეფასებით, მთავარ გამოწვევას წარმოადგენს მასწავლებელთა მზაობა და ტრენინგების ინტენსივობა ზოგადი განათლებიდან პროფესიულ განათლებაზე გადასვლისას, თუმცა სკოლების დირექტორებისა და ხელმძღვანელების მაღალი მოტივაცია ამ რისკის ეფექტურად მართვის გარანტიას იძლევა.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე შეკითხვებით მიმართა სკოლების დირექტორებს შესაბამისობის გეგმების მიმდინარე სტატუსზე.

ხარაგაულის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ ინვენტარი სრულად შემოზიდულია, მიმდინარეობს დაქსელვა მერიის მხარდაჭერით და 1-ლი სექტემბრისთვის აუდიტორია სრულ მზადყოფნაში იქნება.

სამტრედიის №12 საჯარო სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის თანხმობით კომპიუტერული ტექნიკა შემოტანილია ქუთაისის №22 სკოლიდან, მერიის ჩართულობით მზადდება დაქსელვის ნახაზი, ხოლო საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების აღჭურვილობა სასწავლო წლის დაწყებისთვის სრულად მოწესრიგდება.

ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლის დირექტორმა დაადასტურა, რომ ნორიოს სკოლიდან რესურსების გადმოცემის პროცედურა დაწყებულია ოფიციალური წერილის საფუძველზე, დაქსელვა მიმდინარეობს მერიის სპეციალისტის მიერ და დოკუმენტაციის მოწესრიგება აქტიურ ფაზაშია.

საბჭოს თავმჯდომარე ასევე გაესაუბრა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენელს, დიანა გახარიას, მიუხედავად გარკვეული ლოჯისტიკური და ტრანსპორტირების გამოწვევებისა, ახალი ნაკადის სკოლებში პროცესი ბევრად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, დაგეგმილია მასწავლებლის სახლის მხრიდან ტრენინგები და სკოლებს ექნებათ სრული სისტემური მხარდაჭერა მონიტორინგის წარმატებით გასავლელად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის

შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლას (ს/კ: 243572184) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 1).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2026 წლის 21 აგვისტო.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ 2.2 კომპონენტში 2026 წლის 30 ნოემბერს, ხოლო 4.1 კომპონენტზე – 2027 წლის 29 მარტს, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ – ქალაქ წალკის N1 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ – ქალაქ წალკის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 243122679) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ – ქალაქ წალკის N1 საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 2).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2026 წლის 21 აგვისტო.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ – ქალაქ წალკის N1 საჯარო სკოლაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ 2.2 კომპონენტში 2026 წლის 30 ნოემბერს, ხოლო 4.1 კომპონენტზე – 2027 წლის 29 მარტს, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ – ქალაქ სამტრედიის №12 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ – ქალაქ სამტრედიის №12 საჯარო სკოლას (ს/კ: 238755717) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ – ქალაქ სამტრედიის №12 საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 3).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2026 წლის 21 აგვისტო.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ – ქალაქ სამტრედიის №12 საჯარო სკოლაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ 2.2 კომპონენტში 2026 წლის 30 ნოემბერს, ხოლო 4.1 კომპონენტზე – 2027 წლის 29 მარტს, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

საბჭოს წევრმა, გიორგი ვეკუამ, დატოვა სხდომა.

მეჩვიდმეტე საკითხი: სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის №1 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ბექარ კილასონიამ, საბჭოს გააცნეს სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის №1 საჯარო სკოლაში (მისამართი: ლენტეხის მუნიციპალიტეტი, დაბა ლენტეხი, თამარ მეფის ქუჩა №32) 2026 წლის 28 ივლისს განხორციელებული საექსპერტო ვიზიტის შედეგები. შემოწმების მიზანს წარმოადგენდა მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ – განხორციელების უფლების მოპოვება. შეფასდა პირველი სტანდარტი (კომპონენტი 1.1), მეორე სტანდარტი (კომპონენტები 2.1, 2.2, 2.3, 2.4), მესამე სტანდარტი (კომპონენტი 3.1) და მეოთხე სტანდარტი (კომპონენტი 4.1). პირველი და მეორე სტანდარტები შეფასდა როგორც „შესაბამისი“ (ხოლო 2.2 კომპონენტი – როგორც „მეტწილად შესაბამისი“), ხოლო მესამე და მეოთხე სტანდარტები (კომპონენტი 4.1) – როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი“.
სკოლის დირექტორის 2026 წლის 18 ივნისის №02-64 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსების გაძლიერებას, ასევე ორგანიზაციული სტრუქტურის, ფუნქცია-მოვალეობებისა და შიდა რეგულაციების სრულყოფას. ინდიკატორების 4.1.1.1, 4.1.1.2 და 4.1.2.1 მიხედვით დაწესებულებას განესაზღვრა ვალდებულებები სტრუქტურის დახვეწასა და შინაგანაწესის გადამუშავებაზე. მეორე სტანდარტის ინდიკატორებთან (2.2.1.1, 2.2.1.2, 2.2.1.3, 2.2.1.4, 2.2.1.5) მიმართებით კი სკოლამ 2026 წლის 30 ნოემბრამდე უნდა უზრუნველყოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრული მობილიზება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ თავდაპირველად წარმოდგენილი ერთი განმახორციელებლის ნაცვლად, ვიზიტის პერიოდში სკოლას უკვე შერჩეული ჰყავდა 4 პროფესიული მოდულის პედაგოგი.
პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში (A და BC სასწავლო გარემო), სწავლების ენაა ქართული, ხოლო სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 20 ადგილით (ინტეგრირებული ან არაინტეგრირებული ფორმით), რენტაბელობის ზღვარი კი შეადგენს 5 სტუდენტს. კრედიტების მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის ინტეგრირებულ პროგრამაზე შეადგენს 117 კრედიტს, არაინტეგრირებულზე – 87 კრედიტს; არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ინტეგრირებულზე – 147 კრედიტს, არაინტეგრირებულზე – 117 კრედიტს. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 16 მასწავლებელი (4 დარგობრივი/პროფესიული და 12 ზოგადი/ინტეგრირებული მოდულების პედაგოგი). პროგრამის ხელმძღვანელს აქვს დარგობრივი კვალიფიკაცია, თუმცა სწავლების გამოცდილების არქონის გამო, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულია მისი გადამზადება. სკოლაში მოწყობილია თეორიული აუდიტორია, ლაბორატორიული სივრცეები, საბიბლიოთეკო კუთხე და სპორტული ინფრასტრუქტურა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.
საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე დაინტერესდა, რამდენად რეალისტურია ლენტეხისა და ცაგერის მაღალმთიან პირობებში ტექნიკური აღჭურვილობის დროული მიწოდება, ინსტალაცია და ხომ არ არსებობს სასწავლო პროცესის შეფერხების რისკი. ექსპერტმა ბექარ კილასონიამ, განმარტა, რომ შემუშავებულია სამი სხვადასხვა სასწავლო გეგმა, რაც იძლევა

მოქნილი ლავირების შესაძლებლობას: იმ შემთხვევაშიც კი, თუ ტექნიკის მიწოდება მცირედით შეფერხდება, სასწავლო ბადე ისეა აგებული, რომ სასწავლო პროცესი არ დაზარალდება. სკოლის დირექტორმა დაადასტურა, რომ მატერიალური ბაზის მობილიზების მიზნით უკვე მიღებულია თანხმობა ზესტაფონის რაიონის მეორე სვირის №1 საჯარო სკოლიდან 12 პერსონალური კომპიუტერის გადმოცემაზე, ტრანსპორტირება დაგეგმილია უახლოეს დღეებში, ხოლო მერიის ჩართულობით იწყება დაქსელვითი სამუშაოები. დირექტორმა აღნიშნა, რომ რეგიონში მოსწავლეებისა და მშობლებისთვის უდიდესი სტიმულია პროფესიული დიპლომისა და სრული ზოგადი განათლების ატესტატის ერთდროულად მიღების შესაძლებლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის №1 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის №1 საჯარო სკოლას (ს/კ: 234067933) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განხორციელების უფლებამოსილება. ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის №1 საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 4).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2026 წლის 21 აგვისტო.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის №1 საჯარო სკოლაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ 2.2 კომპონენტში 2026 წლის 30 ნოემბერს, ხოლო 4.1 კომპონენტზე – 2027 წლის 29 მარტს, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

მეთვრამეტე საკითხი: სსიპ – სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ილიაწმინდას საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო თამაზაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. საბჭოს გააცნო სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ილიაწმინდას საჯარო სკოლაში 2026 წლის 23 ივლისს განხორციელებული საექსპერტო ვიზიტის შედეგები. შემოწმების მიზანი იყო მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ – განხორციელების უფლების მოპოვება და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა პირველი სტანდარტი (კომპონენტი 1.1), მესამე სტანდარტი (კომპონენტი 3.1), მეოთხე სტანდარტი (კომპონენტი 4.1) და მეორე სტანდარტი (კომპონენტები 2.1, 2.2, 2.3, 2.4). პირველი და მესამე სტანდარტები შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისი“, მეორე სტანდარტი – როგორც „მეტწილად შესაბამისი“ (კომპონენტი 2.2), ხოლო მეოთხე სტანდარტის 4.1 კომპონენტი – როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი“.
ექსპერტმა აღნიშნა სკოლის ადმინისტრაციისა და პერსონალის მაღალი მოტივაცია და მზაობა. სკოლამ განაახლა მისია, ხედვა და ღირებულებები, სადაც ასახა პროფესიული განათლების კომპონენტი, და სტრატეგიულ გეგმაში შეიტანა შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროგრამების დანერგვა. სამოქმედო გეგმაში ცალკე გამოიყო პროფესიული სწავლების განვითარების აქტივობები. სკოლამ შეიმუშავა პროგრამის განხორციელების დებულება, სადაც მოწესრიგებულია სტუდენტის სტატუსის მინიჭების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, აპელაციისა და შეფასების შედეგების ვერიფიკაციის პროცედურები, ასევე არასრულწლოვან სტუდენტებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმები.
მე-4 სტანდარტის ფარგლებში დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა (ბრძანება №02-64, 2026 წლის 18 ივნისი), რომელიც მოიცავს ორგანიზაციული სტრუქტურის, შინაგანაწესის, სამუშაო აღწერილობებისა და თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობების დახვეწას. სკოლას გამოყოფილი ჰყავს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირი, რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, შესყიდვების კოორდინატორი და პროგრამის ხელმძღვანელი. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეფუძნება დემინგის ციკლს (PDCA). დაწესებულებას აქვს პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, ადაპტაციისა (ონბორდინგის) და შეფასების შემუშავებული პოლიტიკა.
მე-2 სტანდარტის მიმართულებით, პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 40 ადგილით (ორ 20-კაციან მიღებაზე), ხოლო რენტაბელობის ზღვარი

შეადგენს 5 სტუდენტს. კრედიტების მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის ინტეგრირებულ პროგრამაზე შეადგენს 117 კრედიტს, არაინტეგრირებულზე – 87 კრედიტს; არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ინტეგრირებულზე – 147 კრედიტს, ხოლო არაინტეგრირებულზე – 117 კრედიტს. პროგრამის განსახორციელებლად სკოლას ჰყავს 12 მასწავლებელი (2 დარგობრივი/პროფესიული და 10 ზოგადი/ინტეგრირებული მოდულების პედაგოგი), რომელთა საათობრივი დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. სკოლაში გამოყოფილია თეორიული აუდიტორია, ინტეგრირებული მოდულებისთვის განკუთვნილი ლაბორატორია, სპორტული დარბაზი (ფრენბურთისა და კალათბურთისთვის) და ბიბლიოთეკა. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, კომპიუტერული ტექნიკისა და საბიბლიოთეკო ფონდის სრული მობილიზება დაგეგმილია 2026 წლის 30 ნოემბრამდე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.
საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე დაინტერესდა, რამდენად უზრუნველყოფს შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობები და ვადები პროგრამის სრულ შესაბამისობაში მოყვანას ავტორიზაციის სტანდარტებთან და როგორ მოხდა იმ საკითხების გამიჯვნა, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა ყოფილიყო დაკმაყოფილებული იმ საკითხებისგან, რომელთა გამოსწორებაც დასაშვებია გეგმის ფარგლებში.
ექსპერტმა ნინო თამაზაშვილმა განმარტა, რომ პრიორიტეტს წარმოადგენდა კვალიფიციური პედაგოგიური პერსონალის არსებობა და მათი დროული გადამზადება. ინფრასტრუქტურისა და ტექნიკის მობილიზების ნაწილში კი, ვინაიდან სასწავლო პროცესი იწყება ზოგადი და ინტეგრირებული მოდულებით, არსებული რესურსი იძლევა სწავლის უსაფრთხოდ და ხარისხიანად დაწყების შესაძლებლობას, ხოლო პროფესიული მოდულების დაწყებამდე სკოლას ექნება სრული დრო და შესაძლებლობა, დაასრულოს კომპიუტერული და დარგობრივი ლაბორატორიის აღჭურვა. დარგის ექსპერტმა ალექსანდრე კეკენაძემ დაადასტურა, რომ აღნიშნულ პროგრამაში ტექნიკურ აღჭურვილობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და შესაბამისობის გეგმით გაწერილი ვადები სავსებით საკმარისია სამუშაოების დასასრულებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ – სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ილიაწმინდას საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ – სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ილიაწმინდას საჯარო სკოლას (ს/კ: 240393098) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ – სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ

ილიაწმინდას საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 5).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2026 წლის 21 აგვისტო.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი შესაბამისად, სსიპ – სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ილიაწმინდას საჯარო სკოლაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ 2.2 კომპონენტში 2026 წლის 30 ნოემბერს, ხოლო 4.1 კომპონენტზე – 2027 წლის 29 მარტს, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

მეცხრამეტე საკითხი: სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ბექარ კილასონიამ, მათ საბჭოს გააცნო სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლაში განხორციელებული საექსპერტო ვიზიტის შედეგები. შემოწმების მიზანი იყო მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ – განხორციელების უფლების მოპოვება და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. შეფასდა პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტები. წინა სკოლების ანალოგიურად, პირველი და მესამე სტანდარტები შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისი“, მეორე სტანდარტი (კომპონენტი 2.2) – როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ხოლო მეოთხე სტანდარტი (კომპონენტი 4.1) – როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე მოთხოვნილია 16 პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობა, ხოლო რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 5 სტუდენტს. სასწავლო პროცესის

უზრუნველსაყოფად სკოლას გამოყოფილი აქვს A, B და C სასწავლო გარემოები, ბიბლიოთეკა და სპორტული ინფრასტრუქტურა. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის სრული მობილიზება დაგეგმილია 2026 წლის ნოემბრის ჩათვლით. პერსონალის ნაწილში, ვიზიტის მომენტში სკოლას ჰყავდა 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი (მათ შორის ერთი დარგობრივი), თუმცა ვიზიტის მსვლელობისას დაწესებულებამ გააფართოვა საკადრო ბაზა და შეითანხმა კიდევ ორი დარგობრივი სპეციალისტი (მათ შორის ქუთაისის უნივერსიტეტის ახალდამთავრებული კადრი, რომელიც რეგიონში დაბრუნდა და რესურსცენტრის IT სპეციალისტი), რითაც დარგის განმახორციელებელთა რაოდენობა სამამდე გაიზარდა და პროგრამის საკადრო მდგრადობა სრულად უზრუნველყოფილია. პედაგოგთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ექსპერტმა ხაზგასმით აღნიშნა პედაგოგთა მაღალი მოტივაცია და მზაობა, რაც დადასტურდა როგორც გასაუბრებებით, ისე მათ მიერ შექმნილი მრავალფეროვანი დამხმარე სასწავლო მასალებითა და კომპლექსური დავალებებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.
საბჭოს წევრმა ხათუნა ჩხარტიშვილმა დასვა კითხვა სტუდენტთა მცირე რაოდენობასთან (16 ადგილი) დაკავშირებით. ექსპერტმა ბექა კილასონიამ განმარტა, რომ ლაილაშის სკოლას ჯამში სულ 30 მოსწავლე ჰყავს, რაც მაღალმთიანი რეგიონის დემოგრაფიული სპეციფიკითაა განპირობებული და არსებული კვოტა სკოლის მასშტაბისთვის ოპტიმალურია.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლას (ს/კ: 242576039) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 6).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2026 წლის 21 აგვისტო.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი შესაბამისად, სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ 2.2 კომპონენტში 2026 წლის 30 ნოემბერს, ხოლო 4.1 კომპონენტზე – 2027 წლის 29 მარტს, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 19:00 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი	სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	32
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	32
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	147
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი	ქალაქი წალკა ჭელიძის ქუჩა N 53
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	32
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	32
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	147
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი	ქალაქ სამტრედია, მშვიდობის ქ. N1
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	20
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	147
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი	ლენტეხის მუნიციპალიტეტი; დაბა ლენტეხი; თამარ მეფის ქ.N32
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	20
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	147
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

დანართი 5

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი	სიღნაღი, სოფელი ილიაწმინდა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	40
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	147
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

დანართი 6

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი	ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლაილაში
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	16
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	16
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	147
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117